საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

შაბათი, 15 მარტი 1919 წ.

პროლეტარიელ ეროვნა ყველა ქვეყანისა, შეერიეთ!

ხალხი

ფასი 75 კაპ.

გამოდის: 1 თვით 18 მანეთი ტელეფონიანი ადგილებიდან 75 კაპ. განცხადების ფასი, როგორც მირეულ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ ბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც პიწერ-მოწერას აწარმოებს.

ხელის მოწერილებმა უფალ შიმაგდა ადრესით უნდა გამოგზავნილ იქნეს, ფასი ... № 199 გან. „ერთობის" რედაქცია სხვა ადრესით გამოგზავნილ უფალ რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში: პირადად მიღება-გაცემა შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 59 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 59

უდრომეს მწუხარებაში ყოფნი: დედა ეგვიტა, ცოლი თამარა, შვილი გრიშა, ძმა გიორგი, დები მარო და ნატაშა, სიძენი: ფერასიმე ანდღულაძე და ხარიტონ მახარაძე, დეიდა ესმა, დეიდაშვილები: ნარიო და ნატაშა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 12 მარტს საშხედრო საავათმყოფოში გარდაიცვალა მტრის მიერ ვერაგულად დაჭრილი

დათიკო ფარნაოზის ძე მგელაძე

დასაფლავება მოხდება კვირას 16 მარტს, ცხედარს გამოასვენებენ საშხედრო საავათმყოფოდან დილის ათ საათზე და დასაფლავებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პატივისმცემლებს ვსთხოვთ მოერძანდნენ გოსპიტლის 1 კორპუსთან. (3—2)

უდრომეს მწუხარებაში მყოფნი მეჯლეი სოხია ჯიჯილეიშვილის ასული, შვილები: ვანო, ვახტანგ, კონსტანტინე, მიტუშა და გრიგორი, დედ-მამა ელისაბედ და ივანე ცოცხაშვილები, ძმა სამუელ, რძალი ელპიტი შვილებით, დები: სოფიო, თეო და ეფროსინე, სიძეები: ბათლომე კალანდარიშვილი და კოტია მახარაძე, ნათლია მაკარა მახარაძე—მეუღლე ანეტა ტუსკიას ასული, შვილებით: ალექსანდრე და ზინა ვაცნობებთ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავათმყოფოში 11 მარტს 12 საათზე გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი ივანეს ძე ცოცხალაშვილი

რომლის გამოსვენება მოხდება თფილისიდან 14 მარტს, დასაფლავება კვირას 16 მარტს 12 საათზე სოფელ ნიგოითი (ჯერეთ) წმინდა გიორგის ეკლესიაზე. (1—1)

უზომოთ დაწუხრებულნი: მეუღლე პაველ მაქსიმენის ძე ცვეტკოვიძე, შვილები: ვლადიმერ, ფოკა, კოზმა და სერგეიონ; რძლები: ანიჩკა და ალექსანდრა; მაზლიშვილი ელისაბედ დედით—ელპიტი; სიძე-ქალიშვილები: ბიკტორ და სეფორა ჯაფელები, ისაკი და ანეტა ვაზალომიძენი; შვილიშვილები: ჩიტო, უჩა, ბერთა, მინორა და ვალოდია აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს, რომ უდროოთ გარდაცვლილ ძვირფასის და საყვარლის

ეკა ეგნატეს ასულის ცვეტკოვიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ამა წლის მარტის 15 ს (ახ. სტ.) დღითი შაბათს სოფ. ოქროსქედის (ჯერეთ) მთ. ანგ. ეკლესიაში.

ალექსანდრე (ალფა) ხარიტონის ძე ბაბაშიძე, დარია გიორგის ასულ ბაბაშიძისა, ღრმათ დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და უძვირფასესი შვილის

მიშუკას

უდროოდ და ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში შაბათს 15 ამა მარტს. (1—1)

ღრმად დამწუხრებული ძეულღლე ანასტასია პავლეს ასული, შვილები: ელენა, სერგო, ქრონია და ილიუშა, მული ფეოდოსია პავლეს ასული ვეკუასი შვილებით: ვალია, ალექსანდრე ზინა და ტრიანთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ნიკო გუნვას ძე ახვლედიანის

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდა კვირას, 9 მარტს ს. გიჯეთში.

აულდათეთქულნი მშობლები; თეოდოზი და დარო აუწყებენ ნათესავ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათ გარდაეცვალათ უსაყვარლესი შვილი სოხუმთან შეტაკების დროს დაჭრილი მენ ქართული პოლკის მეომარი

ნიკოლოზ გარდაველიძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს. დაკრძალვა კვირას 16 მარტს.

ღრმათ დამწუხრებულნი ბიძები: არტემ და გიორგი, ბიცოლები: ეფემია, ეკატერინე და ნადია, მამიდა ქრისტინე და ბიძაშვილები: ანგელინა, თამარა, გოგია და ვახტანგი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ გარდაეცვალათ საყვარელი 18 წლის ჭაბუკი

ნიკოლოზ გარდაველიძე

საქართველოს რესპუბლიკის საბჭოების ოტელის წევრნი და მოსამსახურენი გულითადს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ საყვარელი ამშვიდოს წინაშე მოვალეობის ადრეულებს დროს ახალციხის ფრონტზე გმირულად დაეცა მათი საუკეთესო ამხანაგი და საყვარელი მეგობარი ვახტანგ

იაკინთე გრიგოლის ძე მასხარაშვილი

პანაშვიდი 14, 15, 16 მარტს, საღამოს 4 საათზე ფოთის სამხედრო სოფლებში, კუნძულში. (1—1)

ღრმად დამწუხრებული ქსენტი ალექსიის ძე და პელაგია იასონის ასული დეტუაძეები, ძმისწული ტასო ჯაფარიძე აუწყებენ მეგობართ და ნაცნობნი საყვარელი მეძალაშვილის ვახტანგ

იაკინთე გრიგოლის ძე მასხარაშვილის

გმირულად დაეცა ამშვიდოს წინაშე მოვალეობის ასრულების ფრონტზე. პანაშვიდი დანიშნულია 14, 15 და 16 მარტს საღ. 4 საათზე სამხედრო სიბოროში, კუნძულზე ქ. ფოთში. (1—1)

გულდათუთქული დედ-პელაგია მასხარაშვილისა, ლუბა ივასი და ელპიტე, რძალი მაშაკა, ძმისწული ვახტანგ, ძმები: თანასე, ნიკანორ, მაკარა და პროკო მასხარაშვილები და სიძე პეტრე ფალაქიშვილი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ახალციხის ფრონტზე ბრძოლის დროს ტრაგიკულად დაეცა ვახმისტრი

იაკინთე გრიგოლის ძე მასხარაშვილი

დასაკრძალავად ცხედარი წარმოეგზავნება ბორჯომიდან სოფელ პატარა ონში, (რაჭის მაზრა) 14 მარტს; ქუთაისში ჩამოასვენებენ 15 მარტს პადგორნა ქალაქზე, სახლი კახიანისა. (1—1)

გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადყოფობის შემდეგ ს. ალში 12 მარტს გარდაეცვალა აღნ. შრომ. კავშირის საარვანო კომისიის წევრი მდივანი

გიორგი კევლიშვილი

დაკრძალვა მოხდება ს. ალში კვირას 16 მარტს. (1—1)

გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირის თანამშრომლები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, ერთგულ მუშაკის გორის კავშირის საარვანო კომისიის წევრის მდივანი

გიორგი კევლიშვილის

ღრმად დაეკარგა. დაკრძალვა მოხდება ალში, კვირას, 16 მარტს.

სოფ. ალის კოოპერატივი „სხვა" მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ხსენებულ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მდივანი

გიორგი კევლიშვილის

ღრმად დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ალში, კვირას, 16 მარტს.

თავზარდაცემული გიორგი, თევდორე და იოსებ თევდორეს ძენი, თაძარ თევდორეს ასული და ნინო ილოს ასული ერთდანიები უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასის დაკარგვა ალიწყარის ძის და მაზლის, თფილისის მეორე საკომერციო სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფის, სანაპირო რაზმის მოხალისე ჯარისკაცის

პონსტანტინე (პოსტა) თევდორეს ძის ქორდანიას

ტრაგიკულად დაეცა ს. სადახლოში ამა მარტის 12 ს. ცხედარი ქ. თფილისს სადგურიდან დღეს, შაბათს, მარტის 15 ს. ნაშუადღევის სწორედ 4 ნახ. საათზე, გამოასვენებენ ანჩისხატის ტაძარში. აქვე გადახდილ იქნება სადამოს 7 საათზე პანაშვიდი, ხოლო ხვალ, დილის 10 საათზე, წირვა და 12 საათზე ანდერძი. დაკრძალვა კვირას, მარტის 16 ს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა ანა ილიტონ და მარო, რუბენ ქოისტიფორე და მართა, ივანე და მაგდანე სონიჩკა სოლომონ და ვლადიმერ და ლიუდმაგალაძენი პისტი ბენტურიშვილები, მატა, ნოვე, ნესტორ, სილოვან მირიან და პარმენ ელპიტი, მინადორა და ანიჩკა ციხლაბაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს 13 მარტს ახ. სტ. სოფ. ბენეკოში ივა და პანაშვიდი ორი ძმების

გრიგოლ და მიშა მელიტონის ძის მგელაძეების

პირველი ორი დედამამა, მეორე ძმა, მეოთხე ორი ბებია და ბაბუა, 4 ბიძა და ბიცოლა 5. ორი მამიდანები. 6 ორი ბიძა და ბიცოლა 7 ორი ნათლიები მეორე რიგში, პირველი ბებია 2 ხუთი სული ბიძანები, 3 ბიცოლა 4 ორი დიდის ...

გულდამწვარი ცუკა, მერი, მარგო, სერგეიონი და კოლიენტი გრიგოლიები ამით აუწყებენ ნათესავ და ნაცნობებს რომ შაბათს 15 მარტს სოფ. საპილაოში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი ძმიკოსი კაპიტანის

იასონის მელიტონის ძის გრიგოლიასი

გმირულად მოკვდა სომეხ ქართველთა ომის დროს. (1—1)

გულდამწვარი დედა ... ბა, მამა მელიტონი და რომელია და ძმა სერგო გრიგოლიები აუწყებენ ძვირფასს ნათესავ და ნაცნობთ რომ შაბათს 15 მარტს სოფ. საპილაოში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი კაპიტანი

იასონ მელიტონის ძის გრიგოლიასი

სომხებ ქართველთა ომს დროს გმირულად მოკვდა. (1—1).

ქართული კლუბის დარგაზეში

შაბათს, 15 მარტს, 1919 წ. გაიმართება

— დიდი —

საღამო-თეატრი

პირველ ქართულ ლატარიისა. საღამოს შინაარსი.

1. რაც ნადამოგდენ: 2. საკონცერტო განყოფილება: ... ბანელ ... ქალი, ... ბანელ ... ქალ ... ბანელ ... ქალ ... ბანელ ... ქალ

ᲓᲦᲔᲡ

დამფუძნებელმ კრებამ მთავრობის თავმჯდომარეთ აირჩია ნ. ჟორდანია, რომელსაც მიენიჭა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობის უფლება.

ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ადერბეიჯანის მთავრობას, რომ ახალციხის მაზრას საქართველოს მთავრობა სთვლის საქართველოს ტერიტორიის უდგო ნაწილად. ამიტომ ადერბეიჯანის მთავრობის ნოტას ამ საკითხის შესახებ საქართველოს მთავრობა ჩახთგლის თავის შინაურ საქმეებში ჩარევად.

— —

ადერბეიჯანში გახატანად საქართველოში იარაღს ყიდულობენ. ამ საქმეზე 16 კაცი იქნა დაპატიმრებული.

ხაბერძნეთის საქმეების კომისია ვერ შეთანხმდა ხაბერძნეთის ტერიტორიის საკითხში.

ბალშევიკების ცნობით უცხოეთის ჯარები ადენას ახლო მომავალში დატოვებენ. ყუბანის ყაზახები დონის ყაზახებს არ შველიან საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქვთ უფლება გადასწყვიტონ თავისი ბედი თანახმად მათის თავისუფლების ნების ყოფისა და, ძალადობის მხარეობა ამ მხრით, ერთა ნებისყოფაზედ, დასაშვები არ არის, აზერბაიჯანის მთავრობა თავის ზნეობრივ მოვალეობათ სთვლის, სთხოვოს საქართველოს მთავრობას შეიჩეროს ყოველივე შეიარაღებული მოქმედებანი აზერბაიჯანის ერის ერთობის და ერთმორწმუნე ხალხის წინააღმდეგ, და მიიღოს ყოველი ღონისძიება ყველა საფათ აღძრული საკითხთა მშვიდობიანის გზის გარდაწყვეტისათვის, ან ურთიერთ შეთანხმებით, ან არბიტრაჟის საშუალებით".

ჩვენი მთავრობის პასუხი:

საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს გეგეჭკორმა შემდეგი საპასუხო ნოტა გაუგზავნა ადერბეიჯანის მთავრობას: „საქართველოს მთავრობას არ შეუძლია არ გამოსთქვას თავისი გაკვირვება თქვენ მიერ № 44 ით გამოგზავნილ დეპეშის შესახებ. ეს აქტი არის ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში და ეწინააღმდეგება იმ ძველ კავშირს, რომელზედაც დამყარებულია ორივე ერის დამოკიდებულება. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ის ყოველთვის პატივს სცემს სხვის უფლებებს და ამასვე მოელოდება მეზობელ ადერბეიჯანის რესპუბლიკისაგან. ახალციხის მაზრა შეადგენს ჩვენი ტერიტორიის უდავო ნაწილს და ამ მაზრის მდგომარეობის პასუხისმგებელიც არის მხოლოდ საქართველოს მთავრობა".

საქართველოს გარეშეო

ჩვენი საელჩო ადენაში.

„ს. ს." სწერს: რამდენიმე დღის წინად მოსალისეთა სარდლობის მოთხოვნის თანახმად დახურეს საქართველოს საელჩო ადენაში. ამის გამო ქართველებმა განაცხადეს პროტესტი. საფრანგეთის სარდლობის მოთხოვნით საელჩომ 8 დღის შემდეგ დაიწყო ისევ მუშაობა".

ჩრდილო-კავკასიის ქართველობა.

ყაზახთა ოფიციალურ გაზეთ „ტერსკი კაზაკ"-ში გამოქვეყნებულია ბრძანება, რომელიც ეუბნება გენ. ლიაზოვის ბრძანებას, რომლის ძალით თერგის ოლქის ქართველები ერთი თვის განმავლობაში ან უნდა წასულიყვნენ ოლქიდან, ანდა მიმილოზაციის ძალით გაწვეულ ყოფილიყვნენ ჯარში. ახალ ბრძანების თანახმად ქართველებს ეძლევათ უფლება ოლქის საზღვრებში თავისუფლად ცხოვრებისა.

უკანასკნელი ცნობები

ახალციხის მაზრის გაწმენდა.

(გენერალური შტაბის ცნობები).

12 მარტს, დღეს მშვიდობიანად ჩაიარა. გენ. ფურცელაძის ნაწილები გადავიდნენ მდ. ბაბასთუმნის იქით და დაიკავეს სოფლები ხევშენი, უნცა, შელავერი.

**12 მარტი, 12 ს. 50 წ. ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთამ დაიპყრა სოფლები ვალე და წყალთბილა. განსაკუთრებით თავი ისახელა მე-3 ქვეითა რაზმმა, რომელსაც წელამდე თოვლში და განსაკუთრებულ ძნელ პირობებში უხდებოდა შეტევა მაღალი მთების წყვერებზე და კალთებზე გამაგრებულ მტრის წინააღმდეგ. ამ რაზმმა აღლო ს. ზეკოროლის და წყალთბილას სიმაღლეები და აქედან მტრის ვაქციეთ. ამ რაზმმა დაიპყრა 3,811 სიმაღლიანი მთა თავის კალთებით წყალთბილას დასავლეთით და ამ მოულოდნელმა შემოვრებამ გამოიწვია მოწინააღმდეგის პანიკური შეკრთომა. ბდ. ფოცხოვ-ჩაის გაღმა წყალთბილას, ნეოხრების, წინუბანის და ჯულოსას რაიონებიდან. ორი მხრიდან ჩვენ ალბილა მტერი ძალიან დაზარალდა, მრავალის ველზე დარჩა მრავალი მოკლული თოფი და ცხენები. როგორც მცხოვრებლები ამბობენ, თათრებმა ბევრი დეკილები გაზიდეს. ისინიც ერთხმათ იუწყებიან, რომ 11 მარტს მტერი მართალა აპირებდა ს. ხეკორალის მხრით ჩვენი ფრთის შეტევას. ამას უნდა გაერდვა ჩვენი ხანი და გაემეორებინა წინანდელი მანევრი, რომელმაც თებერვალში ჩვენი ჯარის უკან დახევა გამოიწვია. ეს მათ წინდაწინე ეგრამოუცხადეს მცხოვრებლებს და ირწმუნებოდნენ, რომ 11 მარტსვე აიღებდნენ ახალციხეს, აწყურს და ხაშურამდე ჩაიდევნიდნენ. მათი ცდა შეჩერდა მე-3 რაზმის მოქმედებამ, რომელსაც მიეშველა რეზერვიდან კიდევ ერთი გუნდი და არტილერია, თვითონ შემოუარა მტრის ფრთას და დაამარცხა.

დამატებითი ცნობებით ჩვენმა მარჯვენა ფრთამ დაიპყრა ბაბასთუმნის რაიონი და ვახანი.

12 მარტი, 14 საათი. „ეხლახან ჩემთან მოვიდა ხოჯა ოსმან შეიკი ფერენდი მიქელაძე, როგორც თავმჯდომარე დელეგაციის ყველა სოფლებისა ადიგენის და ვარხანის საზოგადოებებიდან დამორჩილების გამოსაცხადებლად. მიგდიან ეხლა ბენარეულში, საცა შეკრებილი არიან ეს დელეგატები. იქ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის პირობად დაუსვამთ მთელი იარაღის და სასროლ ნივთიერების საწყობების ჩაბარების, რის შემდეგ ნებას დავრთავ ყველა ლტოლვილთ დაბრუნდენ თავიანთ სოფლებში. ხვალ საღამოთი წყვეტენ საბოლოო პირობებს, რისთვისაც საჭიროა თქვენი სათანადო დირექტიები. ჩემ მოსაზრებებს მოგაწვდით დღეს საღამოს დელეგატებთან მოლაპარაკების შემდეგ. რაც შეეხება ქობლიანთ ჩაის მარჯვენა ნაპირას მცხოვრებთ, ცნობები მაქვს, რომ ისინიც მზად არიან მორჩილება ითხოვონ.

გენ. კვინიტაძე.

ცნობა ხომხეთის რესპუბლიკისა საქართველოს მიერ:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა 8 მარტს, 1614 № ით ხომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

მიმდინარე წლის 21 თებერვლის თარიღით, 1230 № ით, მე ჩემი მთავრობის დავალებით, მივმართე ნოტით ხომხეთის, ადერბეიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის მთავრობებს, სადაც გამოვსთქვამდი საქართველოს მთავრობის მოსაზრებებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, თუ რადენი საერთო აქვთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს მთელ რიგ საარსებო კითხვებში და რომელთა გადასაწყვეტად ყველა მეზობელ სახელმწიფოთა საერთაშორისოდ საქართველოს მთავრობამ აუცილებლად სცნო შეეტყობინებინა აღნიშნულ რესპუბლიკების მთავრობებისთვის ამ სახელმწიფო წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა იმ კითხვების საერთაშორისოდ გადასაწყვეტად, რომლებიც კონფერენციაზე დასმულ იქნებიან. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სთვლის აუცილებელ საჭიროებად ამიერკავკასიის ხალხებში შეიქმნეს ურთიერთ ნდობის და სოლიდარობის ატმოსფერა, რომელიც დამყარებული იქნება ურთიერთის ცნობაზე, რაც გახდება მეზობელ რესპუბლიკათა ერთმანეთთან მშვიდრო და მეგობრული დამოკიდებულების და მათი შემდეგი აყვავების თ ვდები.

ადნიშნული მოსაზრებების თანახმად ჩემმა მთავრობამ დამავალა მე ვაცნობო ხომხეთის მთავრობას, რომ ზტაციედ სდგას რა ერთა თვითგამორკვევის პრინციპებზე, ის სცობს ხომხეთის რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ვთხოვთ ეს გადაწყვეტა ხომხეთის რესპუბლიკის მთავრობას.

საგარეო საქმეთა მინისტრი

გეგეჭკორი.

დამფუძნებელი კრება

ალ. ლოგთათიძის ხიტყვა.

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენლნო, ხალხის ნდობით აღჭურვილნო! მესვეურნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა! ბედი ჩემი მხურვალე მადლობა იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც მე გამომიცხადეთ და მე დამაკისრეთ ეს საპატიო და მძიმე მოვალეობა.

ნუ თუ დღესაც გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომელიც გაბედავს და იტყვის, რომ საქართველოს დემოკრატიას არ შესწევს ფიზიკური და გონებრივი ძალა, რომელმაც არამც თუ საძირკველი ჩაუყაროს, არამედ კიდეც განამტკიცოს ამ საფუძველზე ციხე-სიმაგრე. თავისუფლების მოქალაქენო! დღევანდელი დღე აშკარათ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს დემოკრატია მომწიფებულია. მტკიცეთ დამდგარა საკუთარ ფეხზე და რომ იგი გამოსჭედავს თავის ბედს. დღევანდელი დღე ამის საუკეთესო მეტყველია.

მე ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიგონო სამი მომენტი ისტორიის უკანასკნელ საუკუნის მსვლელობაში.

მომენტი, როდესაც მე-19 საუკუნის განთიადზე, საქართველოს მაშინდელმა მესვეურებმა განიზრახეს საქართველოს ბედი მიეცათ მეზობელ დიდი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ.

თქვენ იცით, როგორი იყო ეს მომენტი! თქვენ იცით რას გამოელოდნენ ამ სახელმწიფოდან და რა მიიღეს!

თქვენ იცით, რომ ამ სახელმწიფოში, რუსეთში ხალხი, დემოკრატია გმინავდა მაშინდელი სახელმწიფოებრივი რეჟიმის სალტით გარშემორტყმული.

მაგრამ საქართველოს საზოგადოებრივ მსვლელობის წიაღში ჩაისახა ახალი აზრი; ახალი ხანა დაუდგა, ახალი გული გამოჩნდა, რომ ხალხი განთავისუფლებულიყო და თვით გამხდარიყო ბედი თავის ბედისა და დასდგომოდა იმ გზას, რომელიც მოიყვანდა მას საკაცობრიო იდეალამდე. და ეს გზა იყო ის, რომელშიაც საქართველო მოაქცია დიდმა რუსეთის რევოლუციამ.

თქვენ იცით, თუ რა შედეგი მოჰყვა, ერთს ძმურ სიარულს ორივე დემოკრატიისას.

ძველი თვითმპყრობელობა დაინგრა და დიდი რევოლუციის ალმა მოიცვა მთელი ხალხი, მას მიჰყვა საქართველოც.

ეს იყო 27 თებერვალს. გადავალოთ თვალი ამ ორი წლის ამბავს; რა გვქონდა იქ, რა გვაქვს აქ.

ჩვენ, ვისაც დასცინოდნენ, რომ რა შეუძლია ამ პატარა გაბუტულ-თარეულ ერსოო, ჩვენ ისეთი მდიდარნი გამოვდექით, რომ გაეგზავნეთ ჩვენი საუკეთესო ბელადნი ამ საისტორიო ბრძოლისათვის; ამ პირთა სახელი ოქროს ასოებით იქნება ჩაბეჭდილი რუსეთის რევოლუციის ისტორიაში და თუ ამას აქ ვიგონებთ, მისთვის, რომ ვუჩვენოთ ყველას, რომ ჩვენ შეგვეძლ ა სხვასაც დავეხმაროთ. საკმარისია შეადარება რუსეთის და საქართველოს მდგომარეობისა: იქ ინგრევა ყველაფერი, რაც რომ რუსეთის დემოკრატიას შერჩენოდა. იქ ისპობა ყველაფერი, რაც რევოლიუციამ მოუპოვა რუსეთის დემოკრატიას, დამარცხდა ჩვენი გზაც საერთო სიარულისა. ჩვენ მოგაწყვიტეს რუსეთს და ჩვენს ანაბარად დაგვტოვეს. დაგვროვეს, თუმცა იცოდნენ, რომ ისეთი მეზობელი გვყავდა, სადაც აზიური დესპოტიური რეჟიმი მეფობდა. და ამ მეზობელსაც სწადდა ჩვენი დაპყრობა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

26 მაისიდან საქართველოს დემოკრატია გააფთრებული იბრძოდა, რომ შენარჩუნებია მოპოებული თავისუფლება. საუკეთესო შვილები შეეწირა ამ ბრძოლას და აი, მათის სისხლით განბანილი დროშა მოგიტანათ აქ, რომ თქვენ დაიცვათ იგი. ეს არის შედეგი ამ ბრძოლისა.

ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი რამ: ნუ-რავინ შეგვეშლის ხელს. მე მინდა ეს განცხადება ყველამ გაიგონოს! ჩვენ გვინდა, რომ აზია დავტოვოთ და ევროპას შევხვედოთ.

ჩვენ გვინდა, რომ ევროპის სახელმწიფოებრივ ოჯახში ჩვენც თანასწორი წევრი ვიყოთ. (ტაში).

და მე მგონია, რომ ევროპა—ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, შვეიცარია და სხვა კულტურული სახელმწიფოები, ჩვენ ანგარიშს გაგვიწევენ.

მოქალაქენო! უკანასკნელათ მე მინდა ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას: აქ არიან წარმომადგენლნი ჩვენი მეზობელ რესპუბლიკათა და მე უნდა განვაცხადო, რომ თუ ჩვენ ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ვიყვნეთ, მტერი მაშინ არც ისე საშიში იქნება. ერთხელ კიდევ გიძღვნით მდაბალ სალამს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას და მის დამფუძნებელ კრებას! (ხანგრძლივი (ტაში).

გამარჯვება ჩვენს სტუმრებს და მათ მიერ წარმოდგენილ სახელმწიფოებს (ხანგრძლივი ტაში).

— —

14 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლოგთათიძე.

კრებამ მოისმინა მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიასი განცხადება მთავრობის მოქმედების და მისი გადადგომის შესახებ. განცხადების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: შეწყნარებულ იქნას განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ და დაევალოს იმავე მთავრობას განაგრძოს რესპუბლიკის საქმეთა მართვა ახალი მთავრობის შედგენამდე.

მთავრობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნ. ჟორდანია. მას მიეცა მთავრობის შედგენა, აგრეთვე მიეცა-ბაბალ (ჟორდანიას) საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობის უფლება. მოსმენილ იქნა სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენება კონტროლის მდგომარეობის შესახებ და მისივე განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. დამფ. კრებამ სახელმწიფო კონტროლის განცხადება შეიწყნარა და მიანდო მას ახალი კონტროლიორის არჩევამდე კონტროლის საქმის წარმოება.

ს. დამ. ფრაქციის წინადადებით არჩეულ იქნა განაკუთრებული კომისია ახალციხის ამბების გამოსარკვევად.

დაწვრილებით შემდეგ.

თფილისი, 14 მარტი. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშები: **სახალხო გვარდიის ხაელი შტაბი.** საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მეზობელთა პარტიის ბელადს. ჩვენ, სოჭის ფრონტზე მყოფნი სამტრედიის გვარდიელები, გულოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში. მზათა ვართ დავიცვათ თავისუფლება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრისაგან.

ფოთი. ფოთის მეზობელთა და ჯარისკაცთა საბჭო ესალმება საქართველოს ხალხის სუვერენულ წარმომადგენელს, დამფუძნებელ კრებას. ეხსურვებს მას ნაყოფიერ მეზობლობას ხალხის სასარგებლოთ. **საბჭოს პრეზიდიუმი.**

თფილისი. ზემო სოლოლაკის თავდაცვის რაზმი სულითა და გულით გილოცავთ დიდებულ დღესასწაულს. გისურვებთ დღეგრძელობას ჩვენო მოხუცო არწივო. განგრძე შენი წმინდა საქმე მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. რაზმი თავის მხრივ ფიცსა სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს შენი უმშიკვლო მიზნების განსახორციელებლათ. რაზმის მონდობილობით კონსტანტინე ქოჩორაძე (საქ. დეპ. ს.).

ზუგდიდი. ზუგდიდის ქალაქის განახლებული საბჭო უკვე შეუდგა მოქმედებას. დემოკრატიული საბჭო გაძღვნობს თავის მძიმე მოვალეობას ამომრჩეველთა და ხალხის ინტერესების ერთგულ დამცველ მთავრობის წინაშე. დღევანდელ ისტორიულ მომენტში. როდესაც ზუგდიდის თვალით გადავხედავთ წარსულ და წარმოვიდგენთ რუსეთის ანარქიას, ჩვენ ალტაციებით ვიგონებთ სოციალ-დემოკრატიის ბელადების თავდანწირულ მოღვაწეობას საქართველოში. მათ თავგამოდებას საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში რევოლიუციის მონაპოვართა განსამტკიცებლათ. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას. ზუგდიდის საბჭოს თავმჯდომარე მ. კობერიძე.

თფილისი. მარტის 14. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია მრავალი მისალმების დეპეშა. მათ შორის სომხეთის დიპლომატიურ მისიის მართველ თუმანოვის, ადლერის ქალაქის თავის, თფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტების, მიხეილ პაპაჯანოვის, სოხუმის მოქალაქეების, სოხუმში მდგარ ჯარისაგან, ისიდორე რამიშვილის, ბაკი სდგის ფრონტზე მდგარ საავტომობილო გუნდის, ელინთა ნაციონალურ საბჭოსი, განდეგილის და მრავალი სხვ... (საქ. დეპ. საგ.)

აკეთის საზოგადოების მიტინგი ალფრთოვანებული საქართველოს დემოკრატიის გრწყინვალე გამარჯვებით ეძღვნის ხალხის ნების უზენაეს გამომხატველ დაწესებულებას და ფიცს სდებს მის წინაშე, რომ დამფუძნებელ კრების ყოველივე სიტყვას უსიტყვოთ შეასრულებს.

ბაეუნაშვილი, ბანტურიშვილი.

ხოკი. 12 მარტს, ქალაქის გამგეობის სელმძღვანელობით მოწვეული ხონის მოქალაქეთა სადღესასწაულოთ მიტინგი ალფრთოვანებით ეგებება საქართველოს ბატონ პატრონ დამფუძნებელ კრების პირველ სხდომას. იმედს გამოსთქვამს, რომ დემოკრატიის ღირსეულნი წარმომადგენელნი, ხალხის საკეთილდღეოთ მოიხმარენ ხალხისავე ნდობას. მიტინგის თავმჯდომარე რუხაძე.

ხუშხი საზოგადოების მრავალრიცხოვანი მიტინგი სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც გამოხატავს ჩვენს დემოკრატიის სრულ გამარჯვებას. მიტინგის თავმჯდომარე ვალოდია ვუჯაბაძე.

ბრეთალოს რაიონის მცხოვრებნი ალტაცებულნი მივესალმებით საქართველოს უზენაეს ორგანოს დამფუძნებელი კრების გახსნას და ადთქმასა ვდებთ მთელის არსებით ვიმსახუროთ დემოკრატიულ რესპუბლიკის საკეთილდღეოთ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს. მონდობილობით ილიკო ლეკიშვილი, ლონ. კიკვაძე, ვიქ. ხოხაძე.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

„საქართველო" იწუნებს საარჩევნო სისტემას და დეპუტატთა შემადგენლობას. ის სწერს: „პროპორციული სისტემა ერთი საარჩევნო ოლქით მთელს საარჩევნო ტერიტორიაზე სხვაგან ნაცადი არ არის, უცხო ხილია. პირველი ბაზნიკი საქართველომ იგემა. და საქართველოს ეს პირველი დამფუძნებელი კრება ცოცხალის ორგანიზმებით გვიმტკიცებს, რომ განყენებული იდეალური ფორმულა განსაზღვრულს რეალურ პირობებში ქვეყნისთვის ყალბი და მავნებელი გამოდის. ჩვენი დამფუძნებელი კრების შემადგენლობაზე ერთი თვალის გადაღება ამ მხრივ მეტად სამწუხარო ფიქრებს აგიშლით. რა თქმა უნდა, რომ ეს დამფუძნებელი კრება არ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ინტელიგენტურ ძალთა და კანონდების მაღალი მეშაობისთვის გამოსადეგ პირთა კრებულს.

„კარგი შემადგენლობის შესაქმნელათ, საჭირო იყო განსაკუთრებული მოხერხება, განსაკუთრებული საარჩევნო სისტემა და მეთოდი. ჩვენ ამის გვეშინოდა ამ თავითვე და ამიტომაც მომხრე ვიყავით, რომ საქართველო დაყოფილიყო რამდენიმე საარჩევნო ოლქად. ამ შემთხვევაში კანდიდატის პიროვნების ღირსების უფრო გადამჭრელი ძალა მიეცემოდა და დამფუძნებელი კრების საერთო შემადგენლობაც უფრო მაღალი იქნებოდა".

ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ გაზეთ „საქართველოს", რომ თუ საქართველო დაყოფილი იქნებოდა რამდენიმე საარჩევნო ოლქად, კანდიდატის პიროვნების ღირსების უფრო გადამჭრელი ძალა მიეცემოდა, მაგრამ ეს გამოიწვევდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებას, რადგან დღეს ჩვენი ხალხი პარტიებთ არის დაყოფილი. ამის დასამტკიცებლად საჭიროა მოვიყვანოთ უპარტიოთა დამარცხების მაგალითი: უპარტიოთა ჯგუფს რჩეული პირები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ჰყავდა დასახელებული კანდიდატებთ. მაგრამ ვერც ერთი კაცი ვერ გაიყვანა დამფუძნებელ კრებაში. „საქართველო" კი ისე დაუბრმავებია მისი პარტიის დამარცხებით გამოწვეულ გაბოროტებას, რომ ამას ვერ ხედავს და ყველაფერს საარჩევნო სისტემას აბრალებს.

ასეთივე სწორი და მიუდგომელია გაზეთ „საქართველოს" შემდეგი აზრიც: „დღეს ჩვენ დამფუძნებელ კრებაზე ერთი უნომრო სიმრავლეა თავმოყრილი.

ფრაქციულად რომ ვიდაპარაკოთ, ჩვენი დამფუძნებელი კრების ეს დიდი ნაკლი დაუბერავს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაშია დამუდებული. ეს პარტია იმ თავით მდიდარი იყო მებრძოლ ფანატიკოს პროპაგანდისტ აგიტატორებით და ფრიად ღარიბი ინტელექტურ ძალებით და საერთო კულტურულის ბაგეთ".

მართალია ეს? ცხადია „საქართველო" ინტელექტურ ძალებათ თვლის მხოლოდ დიპლომიანებს და ყოფილ ბობოლა მოხელეებს, თორემ ანა ვინ არ იცის, რომ ჩვენი პარტია სხვა პარტიებზე ღარიბი არაა ინტელექტურ ძალებით.

უნდა მოვახსენოთ „საქართველოს", რომ მისი გამოსვლა არსებითად მიმართულია დემოკრატიის, ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც თავის წრეში აირჩია საუკეთესო პირები და თუ მან გაბატონებულ კლასების „შეცნიერებას" ვერ გამოუცხადა ნდობა, ეს მხოლოდ ამ ხალხის პოლიტიკურ სიმწიფეს ამტკიცებს.

* * *

ს. ფედერალისტების გაზეთი „ხალხო ხაქმე" აღნიშნავს დამფუძნებელ კრების დიად მნიშვნელობას, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში და მის მომავალ მოქმედებაზე სწერს შემდეგს:

„ეხლა, როდესაც დამფუძნებელი კრება უნდა შეუდგეს სოციალურ რეფორმებს—უეჭველია თავს იჩენს სხვადასხვაობა. ერთის მხრით იქნება მემარჯვენე ფრთა — ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც შეეგრძოლებიან არა მარტო ახალ რეფორმებს, არამედ წარსულსაც. სოციალ-დემოკრატები, ასე ვსთქვათ, სტატუს ქვოს დაცვას მოითხოვენ და ეტყობათ არსებითად იმაზე გაჩერდებიან, რაც გააკეთა წარსულმა პარლამენტმა. ჩვენი პარტია შეეცდება გადადგას მტკიცე და დიდი ნაბიჯები სოციალურ გარდაქმნისაკენ და რევოლიუციის გადარმავებისაკენ. აქ გაიმართება ჭიდილი და ჩვენი პარტია ყოველთვის იზრუნებს მისთვის, რომ ჩვენ ერთ წერტილზე არ გავიყინოთ და ნიადაგი მოვუმზადოთ საქართველოში იმ ძირითად გარდაქმნას, რომელიც ჩქარის ნაბიჯით სწარმოებს ევროპაში და დიდ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოზე. მაგრამ ეს ახლო მომავლის საქმეა და ამაზე ცალკე მოვალაპარაკოთ".

ამ რიგად ფედერალისტები გვპირდებიან „ძირითად გარდაქმნისთვის ნიადაგის მომზადებას", მაგრამ ასეთს ნიადაგს მუშათა პარტიაზე უკეთ არცერთი პარტია არ ამზადებს და ფედერალისტების დაპირებას, რომ გამართება ჭიდილი, სხოლად ლიმილის გამოწვევა შეუძლია.

* * *

ადგილობრივ სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანო „შრომა" სწერს:

„საქართველოს დამფუძნებელი კრება სოციალ-დემოკრატიულია. ეს პირველი მაგალითია, რომ ევროპის ერებს ... კრებაში სოციალ-დემოკრატიის ... ლიუტური ... მდგომარეობა ბევრს რაიმეს ავალებს სოციალ-დემოკრატიას. სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლება მის ხელში არის, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ეს ძალა-უფლება გამოიყენოს ეკონომიურად გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ საბრძოლველად, ის განაგრძობს თავის წვრილ ბურჟუაზიულ და ხშირად რეაქციონურ მოღვაწეობას, რომელსაც ასაბუთებს თავის ცნობილ მეშჩანურ ფილოსოფიით".

ალბად ეს-ერებიც „ძირითად გარდაქმნის" მოითხოვენ და ამისთვის საკმაოდ თვლიან დამფუძნებელ კრებაში სოციალისტურ ხმების უმრავლესობას.

ასეთია ამ უბარ პოლიტიკოსების ფილოსოფია: უნდა დაიმყარო არა ცხოვრებაში არსებულ ძალთა განწყობილებას, არამედ ხმების უმრავლესობას!

მაგრამ ეს ერებს ავიწყდებათ, რომ დემოკრატიამ ჩვენ გამოგვიცხადა ნდობა არა ავანტიურისტულ ექსპერიმენტების მოსახდენათ.

* * *

დაშნაკცუტ. „აზხატავორი" სწერს: „საქართველოსთვის დღევანდელი დღე დიდი ისტორიული დღეა, როცა ოსმალეთის საუკუნო მონობიდან გამოდის და პირველ საძირკველს უდებს თავის ეროვნულ დამოუკიდებელ სახლს. ჩვენ ყოველთვის ვყოფილვართ პატარა ერების პოლიტიკურ დამოუკიდებლობის მომხრე, და არ შეგვიძლია არ მივესალმოთ საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნას.

„სამწუხაროთ, დამფუძნებელი კრება თავის შემადგენლობით არ არის საქართველოს დამფუძნებელი კრება, არამედ არის მხოლოდ ქართული.

„მენშევიკური პოლიტიკის წყალობით დამფუძნებელ კრებაში არ არის წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობიდან არც ერთი, თვით ყველაზე რიცხოვანი სომეხი მშრომელი ხალხი.

„არჩევნების შედეგები ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. ჩვენმა პარტიამ (დაშნაკცუტიუნმა, უკვე სთქვა და დასწერა, რომ ის მიდიოდა აშკარად დასამარცხებლათ, მხოლოდ ასეთი დამარცხებით გვინდა დავამტკიცოთ, თუ როგორი უნდა იყოს გამარჯვება, თუ როგორ უნდა მოიქცეს მშრომელი კლასი მომავალში რეაქციონურ დემოკრატიულ გამარჯვებისთვის.

„დღეს ჩვენ ვდგევართ შესრულებულ ფაქტის წინ, იხსნება დამფუძნებელი კრება, რომელშიაც მონაწილეობას არ იღებენ სომეხი რევოლიუციონური დემოკრატიის წარმომადგენლები, ეყრება საძირკველი დამფუძნებელ კრებას, რომელშიაც მონაწილეობას არ იღებენ არცერთი ეროვნული უმცირესობანის წარმომადგენლები. ეს ნაკლი საგრძნობელია და ურა-პატრიოტიზმის „დიდებული გამარჯობაა". ეს ისე სახიფათოა რესპუბლიკის ნორმალური განვითარებისთვის და სიცოცხლისთვის, რომ ჩვენი წინათ ნახული დამარცხება ხვალინდელი გამარჯვების პირველი ნიშანია, ისეთი გამარჯვების, რომლის შედეგი იქნება ძირს დანარცხება თავისებურ ცარიზმისა და ნამდვილ რევოლიუციონური დემოკრატიული წესრიგის განმტკიცებისა. დამფუძნებელი კრება, ჩვენ იმედი გვაქვს, მხოლოდ დაახლოვდა ამ დღეს".

დაშნაკცუტების გაზეთს ერთი შეცდომა მოსდის, რომელიც მას თანდაყოლილი აქვს. იგი მხოლოდ თავის პარტიას სთვლის მთელი სომხის ერის წარმომადგენელათ. და რადგან სომეხი დაშნაკცუტერ მოხვდა დამფუძნებელ კრებაში ასკვნის—სომხის უმცირესობას არ ჰყავს იქ წარმომადგენელი.

ნამდვილათ კი დამფუძნებელ კრებაში რამდენიმე სომეხია, რომელიც ს.-დემოკრატიის სიით გავიდენ. ეს ერთი.

მართალია სომეხი მეტია საქართველოში, ვინემ სომეხი დეპუტატები დღეს საქართველოში, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ ისიც, რომ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრას, სადაც ბევრია სომეხი ელემენტი, ჯერ არ მიუღია მონაწილეობა არჩევნებში. დანარჩენ ადგილებში კი დაშნაკცუტებს სომეხებმა მცირე ხმა მისცეს. უმეტესობა ისინიც ქართველ დემოკრატიას ამოუდგენ გვერდში და სადემოკრატიის სიას მისცეს ხმა. ამით მათ დაუკარგეს გავლენა დაშნაკცუტებს, მაგრამ შეაერთეს და გაერთიანეს სომეხ-ქართველთა დემოკრატია.

„ჰარჩი" ივიწყებს ამას და ამიტომ თავის დამარცხება—დიდი გამარჯვების წინამორბედი ჰგონია. დე ეგონოს!

„შაკი" სწერს:

„საქართველოს დამფუძნებელ კრებას აქვს მიზნათ გაუმჯობესოს ქვეყნის შინაგანი ცხოვრება, მოაწესრიგოს მტკიცე კანონებით მოქალაქეთა ურთიერთ დამოკიდებულებანი მიწის საკითხში, ეროვნულ სფეროში. გამარჯობა უნდა ვუსურვოთ, რომ დამფუძნებელმა კრებამ პირნათლად შეასრულოს თავისი მუშაობა და ჰქონდეს უფლება სთქვას,

რომ საქართველო მართლა მისი წყალობით გახდა ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყანად. საქართველოს დამფუძნებელ კრებას ერთი სრულიადი მიზანიც აქვს, ესე იგი, დაიცვას რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია, უკეთუ დამფუძნებელი კრების იდეა მაგარ ნიადაგს იპოვნის საქართველოს დემოკრატიის გულში. დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს ჩვენ ვუსურვებთ სიკეთეს ჩვენს მეზობლებს. გაუმარჯოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს".

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

14 მარტი

ინგლისიდან პარეზის ცნობები.

საბერძნეთის საქმეების კომისიამ მოუსმინა ფრაკიის წარმომადგენლებს ოსმალეთის პარლამენტის ყოფილ დეპუტატს ვამვაკასსა და ადრიანოპოლელ ინჟენერ ანტონიადასს, რომელმაც თავის მოხსენებაში დაახასიათა ბერძნების როლი ფრაკიის ეკონომიურ ცხოვრებაში და ფრაკიის მიწა-წყლის ნაყოფიერება.

მასნიუსეთის სენატში დუბლინელმა გორას პლიუნკერტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ თვით მართველობა ირლანდიისთვის საჭიროა, მაგრამ უმჯობესია, რომ ჯერ-ჯერობით ირლანდია დიდ ბრიტანიის შემადგენელ ნაწილად დარჩეს.

ბრიუსელის მოლაპარაკებას, როგორც მოგვლიან, მოყვება გერმანიის ფინანსიური ბლოკადის მოხსნა. ეს ბლოკადა კომერციულ ბლოკადასთან ერთად იყო შემოღებული.

იუწყებიან, რომ საბერძნეთის საქმეების კომისია ვერ შეთანხმდა საბერძნეთის მომავალ ტერიტორიის საკითხში. კომისიის უმეტესი ნაწილი, ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ საბერძნეთს მიეცეს ხმა, რადგანაც ამ ქალაქში უმეტესად ბერძნები სცხოვრობენ და რადგან ეს ქალაქი ათონას პირდაპირ იმყოფება და გაყოფილია მხოლოდ ეგეის ზღვით. ამ აზრს არ იზიარებდა ამერიკის დელეგატი, რომელიც სმირნას უსაჭიროეს ნავთსადგურათ სთვლიდა მცირე აზიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობისთვის. ამის გამო ამ საკითხის საბოლოოთ გადაჭრა მიეგდო მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს. დოდეკანოზების კუნძულები, რომელიც ამ ბამათ იტალიას უჭირავს, საბერძნეთს გადაეცემა.

შარანაულ პრესის ცნობები.

კლემანსო ლანდსერის თანახლებით გემგზავრა ბრიუსელში, სადაც მონაწილეობას მიიღებს მოკავშირეთა შორის სურსათის მისაწვდენის კომისიაში.

ბელგიის დეპუტატთა პალატის ოთხშაბათის სხდომაზე პრემიერ მინისტრმა დელაკრუამ წაიკითხა მოხსენება, რომელიც დამსწრეთ ფიხზე დგომით მოისმინეს. პრემიერმა სთქვა: „მაქვს პატივი პალატას ვაუწყო, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ისმინა ბელგიის დელეგაციის თხოვნა და საჭიროთ ალარა 1839 წლის ტრაქტატის გადასინჯვა.

იტალიის დელეგაციის მიერ საზავო კონფერენციაზე წარმოდგენილი მემორანდუმი შეიცავს იტალიის ტერიტორიალურ მოთხოვნილებებს. მასში ნათქვამია: „მართალია ჩვენი მოთხოვნილების ასრულებას მიყვება განსაზღვრულ რიცხვის უცხო მოქალაქეთა შემოერთება, მაგრამ ეს უფრო დიდ ფარგლებში ხდება ახლად შემდგარ სახელმწიფოებში, და მაშასადამე იგი მიღებული და დაკანონებული იქნება. მაგალითათ, პოლონეთში 30% უცხოელი იქნება, ბოჰემიაში—30%, რუმინიაში—17%, სამხრეთ სლავონიაში—11%, საფრანგეთში—4%, იტალიაში კიდევ იქნება—3%. ომში ჩარევით იტალიას განიზრახვა ჰქონდა უცხო ბატონობის ქვეშ მყოფ თავის შვილების განთავისუფლება და გარანტიების მოპოვება ხმელეთზე და ზღვაზე. ეს გარანტია ხმელეთზე უზრუნველყოფილი იქნება ალპიის ოლქის შემოერთებით, რომელშიაც შედის ადიჯეს ნაწილი, ტრენტინო... (გაუგებარია); ზღვაზე კი საჰაერო მოძრაობის გაუმჯობესებით, ხ

ოლო ისე, რომ არ დაზარალდეს ახალ სახელმწიფოთა ინტერესები. საჭიროა, რომ ბოლზანოს გარდა იტალიას ეპყრას ბრესანონე, რათა გერმანელები ალარ ბატონობდნენ ალპების იტალიის კალთებზე. ტრენტინოსა და ზემო ადიჯეს შემოერთების მოთხოვნა მარტო სტრატეგიულ მოსაზრებით არ არის გამოწვეული. ამ ოლქებში 600,000 მცხოვრებთაგან 420,000 იტალიელია. რაც შეეხება აღმოსავლეთის საზღვარს, ცენტრალურ ევროპაში მშვიდობიანობის დაცვის ინტერესი მოითხოვს, რომ იტალიის საზღვრები იფლიის ალპებამდე იქნეს გადატანილი". მემორანდუმში აღნიშნულია, რომ გორიცა, ტრიესტი, პოლა, ფიუმე და სანაპიროს სხვა ქალაქები უდავოთ იტალიურია.

ბალშევიკების ცნობები.

ვოსკოვი. საფრანგეთის საპასუხო ნოტაში გარეშე საქმეთა კომისარი ადნიშნავს, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ გაანთავისუფლა ყველა ტყვე ფრანგი, მაგრამ საფრანგეთში მყოფ რუსეთის მოქალაქეთ მხეცურად ეექცევიან, ციხეებში აჯენენ და აწამებენ იმისთვის, რომ მათ საფრანგეთის ფრონტზე ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს. რუსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ აღასრულოს საფრანგეთმა ხელშეკრულება და გაანთავისუფლოს ყველა რუსის ჯარისკაცები, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. **კიევი.** მარტის 12. იუწყებიან რომ ახლო მომავალში ადესიდან გავა უცხოელთა ჯარი. გენერალი ბერტელო აცნობებს პარიზში, რომ საჭიროა გაიწვიონ საფრანგეთის და საბერძნეთის ჯარი შავის ზღვის სამხრეთ სანაპიროებიდან. ამ მოთხოვნილებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის რევოლიუციონური ტალღა ოდესასაც შთანთქავს. მოკავშირეთა ჯარის მდგომარეობა საშიშია. ბერტელოს არ აქვს პეტლიურას ჯარის დახმარების იმედი და ამბობს, რომ პეტლიურას მოქმედება ავანტიურისტულია. მოხალისეთა ჯარი კი შესდგება მუქთა ხორა ოფიცერთაგან, რომლებიც მხოლოდ არბევენ ხალხს და სურთ მათზე გამბატონება და არავითარი ინტერესები რუსეთის და მის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არა აქვთ. გენერალი ბერტელო ფიქრობს, რომ ჯარი წათელ არმიას ვერ გაუმკლავდება, რადგან უკანასკნელთა ხელშია ადესაში ყველა მისავალი ადგილები. **კიევი.** მარტის 12. საგუბერნიო სამხედრო კომისარიატმა გამოაცხადა 1883 წ. დაბადებულ ბურჟუების მობილიზაცია. ამ მობილიზაციის დროს მეტი რიცხვი გამოცხადდა, ვიდრე პირველ მობილიზაციის დროს. ტალნოგის რაიონში საბჭოთა ჯარმა დაიპყრა კივანოვი. ქალაქი ოვკა და ლიეზი. მოწინააღმდეგე უკან იხევს. უკრაინაში პორის, შაქრის და მარილის სამრეწველოების ნაციონალიზაცია გამოაცხადეს. **დ. როსტოვი,** მარ. 11. როსტოვში ვაჭრობა სრულიად შესწყდა. **ბერლინი,** მარტის 8. შპანდაუში მთავრობის ჯარი შევიდა. ქალაქში საპროტესტო დემონსტრაციები ხდება. ნოსკეს ბრძანებით ბერლინში სამხედრო ძალები შემოიყვანეს. **ეკატერინოდარი,** მარტის 8. დონის ფრონტზე დ. ყუბანზე თეთრგვარდიელების დამარცხების შემდეგ, დონის მთავრობა დახმარებას მოითხოვს. როგორც წარსულ წელს, დონის ყაზაბების დამარცხების შემდეგ, ყუბანელები არ ეხმარებიან მთავრობას საბჭოთა ჯართან ბრძოლაში. **ჩერნიგოვი,** მარ. 18. სიმფეროპოლში ნახშირის შემოტანა შესწყდა. ქალაქი სიბნელეშია.

გათუმი

გათუმი. მარტის 13 (საკ. კორეს.) მარტის 12 საქართველოს საელჩომ დამფუძნებელი კრების გახსნის დღე აღნიშნა ეროვნულ დროშის აფრიალებით. საელჩოს მოფლოცეს დიდებული დღე სომხურ ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენელმა და კერძო პირებმა. სოლოქმა საბჭო საჭიროთ სთვლის ფულის ტრიალის მოსაწესრიგებლათ გახსნას ბათუმში სპეციალური ბანკი, რომელსაც დაეკისრება ყველანაირი ნიშნების გადახურდავება და რის საგალდებულო კურსი ხმარებაში მყოფ ფულის ნიშნებზე. ნიკოლოზის და კერენსკის ნიშნები ალიარებულ იქნენ თანასწორ ღირებულებათ. ამიერ კავკასიის ბონებზე დადებულ იქმნას მტკიცე კურსი არსებულ ბაზარის მიხედვით და იმ პირობით, რომ მსურველებს ყოველთვის შეძლება ქონდეთ მათი ყველანაირი ნიშნებზე გარდახურდავებისა სპეციალურ ბანკის ან საბანკო კანტორის საშუალებით. ბიჩერახოვის ცოლის თაოსნობით გაიმართა საღამო გარეშე მტერთან ბრძოლაში დაჭრილ მხედართა სასარგებლოთ. ადგილობრივი რუსობა დემონსტრაციულათ არ დასწრებია. სამაგიეროთ მოხალისეთა სასარგებლოთ გამართულ საღამოზე ბლომათ იყვნენ. საადმინისტრაციო საბჭომ სასურველათ სცნო საქონლის გატან-შემოტანის თავის უფლება.

ახალი ამბები

◆ იარაღების გატანა ადერბეიჯანში. შინაგან საქმეთა სამინისტროში ცნობები მოდის, რომ ადერბეიჯანიდან გადმოდიან საქართველოში მილიც. ტანსაცმელით მაჰმადიანები ყიდულობენ იარაღს და ადერბეიჯანში გაიქვთ. ამის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. 16 კაცი შეიპყრეს ამის გამო დაციხეში მოთავსეს.

◆ ბონების გამოცემის შეხახებ. მთავრობის თავმჯდომარემ სომხეთის მთავრობისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სომხეთის მთავრობამ მიანდო ფინანსთა მინისტრს ენფიანჯიანცს და საფინანსო აგენტს ტერ-ატუნიანცს, რათა მათ ხელშეკრულობა დასდონ საქართველოს მთავრობასთან ბონების 820 მილიონ მანეთის გამოცემის შესახებ. წერილობითი რწმუნებას პირველ შემლებისათანავე გამოვგზავნით".

◆ კისლავოდსკიდან ჩამოსულების სიტყვით ქალაქის სასურსათო საქმე ძლიერ გაუარესდა. ფასებმა ყოველგვარ საქონელზე აიწია. ბალშევიკებსა და მოხალისეთა ჯარს შორის სასტიკი ომი სწარმოებს როსტოვის რაიონში. ბალშევიკები როსტოვისაკენ მიიწევენ.

◆ დაპატიმრება. საგუბერნიო ბათალიონის გამგის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ საგუბერნიო ბათალიონის ოფიცრები: კაპიტ. გუგუშვილი პოდპორ. მესხიშვილი და შტაბს კაპ. გერსამეზაშვილი.

◆ იუსტიციის მინისტრის განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენეს თფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი პრილიპკო და კლენევსკი. მათ ადგილს დაინიშნენ ქუთაისის ოლქის სასამართლის პროკურორის ყოფილი ამხანაგი პალტარაკი და კავკავის ოლქის სასამართლოს პროკურორის ყოფილი ამხანაგი ანდრონიკაშვილი.

თანამდებობიდან გადაყენეს ლაგოდეხის უბნის გამომძიებელი პაიჭიძე. მის ადგილას დაინიშნა ვ. ყიფიანი.

◆ ცხინვალისა და ჯავის ხეობაში. საქართველოს რესპუბლიკის ტყეთა ინსპექტორი ატყუმინებს შინაგან საქმეთა მინისტრს: „პირველი რაიონის ტყის მცველის ცნობით ცხინვალისა და ჯავის კომისრები არ სცნობენ საქართველოს რესპუბლიკის უფლებას მათ რაიონის ტყეებზე და არც უშვებენ ტყეებში ქართველ ტყის მცველებს, ითხოვენ განაგებენ ტყეებს. კომისრები მოქმედებენ ცხინვალის ოსთა ეროვნულ საბჭოს დადგენილების თანახმად, რომლის ძალითაც სამთო ოსეთის ტყეები ოსთა ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში უნდა იყოსო. ინსპექტორი სთხოვს მინისტრს განკარგულება მოახდინოს.

◆ სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციოს უფროსი აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ფოთის სამხედრო საწყობიდან სისტემატიურად იკარგება შაქარი. ბოროტ-მომქმედნი ვერ აღმოაჩინეს. საადმინისტრაციო ნაწილი იძულებულია შაქარი ფოთიდან თფილისში გადმოიტანოს.

◆ გზათა სამინისტროს პარლამენტის პრეზიდიუმს შეკითხვაზე უპასუხა, რომ ზუგდიდის რკინის გზაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ამასთანავე წინადადება მიეცა შავი ზღვის მიდამოების რკინის გზის მმართველ ინჟინერს, რომ უკანასკნელმა შეიმუშაოს საკითხი საგურ ზუგდიდის შესახებ ზუგდიდის თვითმართველობასთან ერთად.

◆ მი ადმოქმედების საძოვარ-საიჯარო განყოფილება ამით აუწყებს რაიონის საადგილ-მამულო ფონდის გამგეების თანამდებობის მოხსენებლებს, რომ ისინი გამოცხადდენ ორშაბათს, 17 მარტს, დილის 10 საათზე ზემოხსენებულ განყოფილებაში.

◆ „განათლების" საზოგადოების საზხატვრო-სახელოსნო სკოლის მასწავლებლების და მოწაფეთა მიერ იკერება „სახელმწიფო ლერბი", რომელიც ამ დღეებში მოთავდება და გადატანილ იქნება სასახლეში. მსურველს შეუძლია ინახულოს სასწავლებლის შენობაში, სუპ-სარეისის ქუჩა, № 48.

◆ საღამო. შაბათს, 15 მარტს, ახალი სტ. კავკასიის ქართველ ქალთა საზოგადოება მართავს საღამოს. მათდამი ახლად დაარსებულ დარიბ ქალთათვის ფეხსაცმელების, სამკერვალო კურსების სასარგებლოდ. საღამო გაიმართება ქართველ ქალთა სამკერვალო სკოლაში გაბაშვილის შესახვევი. საღამოზე იქნება დიდი ლოტო, ბუფეტი, ცეკვა და სხვა. დაუკრავს მოწაფეებისაგან შემდგარი ორკესტრი. იმედია საზოგადოება გულგრილად არ შეხვდება ამ საღამოს.

◆ სამკითხველო. კვირას, 16 მარტს, 19 თებერვლის ქუჩაზე, სახლი № 9 ჩუღურეთის მცირე კოლექტივი ხსნის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ნ. ტორდანიას სახელობაზე და სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებას.

◆ წინადადება (კახეთში) სახელმწიფო მამულის მმართველი აცხადებს, რომ მამულში მოდიან მოგვალი პირები, რომელთაც არავითარი კავშირი ამ მამულთან არ აქვთ და თხოულობენ, როგორც დროებითი ბინებს მამულის სასახლეში, აგრეთვე სამოგზაურო ეტლებსაც. ამის შემდეგ ყველა ამ გვარ თხოვნებით მომართავ იმ პირთათვის, რომელთაც პირდაპირი საქმე და კავშირი ამავე მამულთან არა აქვთ—დაუმაყოფილებელი დარჩება. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც მოდიან სამეცნიერო მიზნით და უსათუოდ სათანადო ნებართვით მიწათმოქმედების მინისტრისაგან.

ძარბეები

კვირას, 16 მარტს, დილის 10 საათზე, ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში შესდგება საერთო კრება ტყავზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა.

დღეს, სრულ 5 საათზე დანიშნულია ახ. მარქ. ორგ. ცენტრალურ კომიტეტის სხდომა. ბინა: პოლიტეხნიკუმში, გოლოვინის პრასპ. არტისტ. საზ.

პროფესიების ძალონიძა.

ოზურგეთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებისათვის შენობის ამგები კომიტეტი უმორჩილესათ სთხოვს კოოპერატიულ დაწესებულებებს, საკრედიტო ამხანაგობებს, და კერძო პირთ, ვისაც დაგზავნილი ჰქონდა კომიტეტის მიერ მიმართვა ფულების შეკრების შესახებ, გადმოგზავნონ შეკრეფილი ფულები დაჩქარებით. ფულების გამოგზავნა შეიძლება ოზურგეთის საერთაშორისო ნდობის ბანკში კომიტეტის ხაზინადარი რუბენ ლეონტის ძე ჩხაიძის სახელზე.

ხენეკის სამაზრო ერობა უკვე შეუდგა წვრილი ერთეულების გამგეობების შედგენას. დაგზავნილია ინსტრუქტორები ყველა რაიონებში. ჯერ-ჯერობით შესდგა და დაიწყო მოქმედება 13 ერთეულების გამგეობებმა. ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით გამგეობები ეცნობებიან საქმის წარმოებას. სამოლოოთ გამგეობების შედგენა დამთავრდება ერთ კვირაში. გამგეობისა და მისი კანცელარიის შენახვა იკისრა თვით საზოგადოებამ.

ნატანები. 9 მარტს ნატანების სადგურიდან ბათუმისკენ სალამოს 7 საათზე გავიდა სახალხო მატარებელი. ნატანებსა და ქობულეთს შუა სახლვარს იქით ორი ვერსის მოშორებით, ავაზაკები თავს დაესხენ მეორე კლასის ვაგონში მსხდომ მგზავრებს და გაძარცვეს. შემდეგ ავაზაკებმა მატარებელი შეაჩერეს, გადმოვიდენ და წამოვიდნენ რკინის გზით ჩოლოქის ხიდისკენ. ერთი მძარცველთაგანი თურმე აფიცრის შინელში იყო. გაძარცულები უმეტესად ვაჭრები აღმოჩნდენ. წაუღიათ რვა ათასი მან.

ივაკი გიორგაძე.

ბორჩხა სამეურნეო საზოგადოება აუწყებს თავის წევრებს, რომ 20 მარტს დილის 10 საათზე, საზოგადოებისავე დარბაზში დანიშნულია წლიური კრება ამავე საზოგადოებისა.

ადერბეიჯანი და საქართველო

ახალციხის მაჩუბამ.

ადერბეიჯანის მთავრობის გაზ. „ადერბეიჯანის" 11 მარტის ნომერში შემდეგი მეთაურია მოთავსებული:

„საქართველოს რესპუბლიკის საგარეო შტაბის ცნობამ ახალციხის ფრონტზე საერთო შეტევის ახალი სიცხლის ღვრის დაწყების შესახებ გამოიწვია ბუნებრივი გამოძახილი ადერბეიჯანის მთავრობის მხრივ, რაც გამოიხატა მეგობრულ ნოტაში საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

იმის და მიუხედავათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მუდამ იდგა კავკასიის ხალხთა შორის წარმომდგარ კონფლიქტების მშვიდობიანის გზით მოგვარების პრინციპზე, ეხლა, როდესაც ეს რესპუბლიკა ხედავს, რომ სამხრეთ დასავლეთ ამიერ კავკასიის დატანჯული თურქის ხალხები, დასუსტებულნი გამუდმებული ომებით, მიიღტვიან თავისი ბედის გადასაწყვეტად ისე, როგორც ეს მათ ესმით, ის (რესპუბლიკა) იგიწყებს მადლ პრინციპებს, რომლებიც თითონვე წამოაყენა და სამხედრო ხელოვნების ყველა წესების მიხედვით აწარმოებს სამხედრო მოქმედებას ამ ხალხების წინააღმდეგ და ცდილობს ციცხლითა და მახვილით დაიმორჩილოს მათი ლტოლვა დამოუკიდებლობისადმი.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი დამოკიდებულება იმ მოტივებთან, რომლითაც ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობა და დავიფასეთ, თუ რამდენათ შეეფერება ეს მოტივები იმ დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებთაც იზიარებს ეს მთავრობა. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მიზნები ახალციხის მაზრაში ქართველ პოლიტიკური ხელმძღვანელებისა, ჩვენ ვიძლევით კითხვას: იყო თუ არა აუცილებლობა ახალი სისხლის ღვრისათვის, იყო თუ არა გამოყენებული ყველა საშუალებანი კონფლიქტის მშვიდობიანის გზით მოსაგვარებლათ, მოსმენილ იქნა თუ არა სამართლიანი მოთხოვნილებანი ხალხისა? ის ცნობები, რომლებიც ჩვენს ხელთაა და ახალციხის საზოგადო მოღვაწის ომარ-ფაიკ ეფენდის წერილის თანახმადაც, ახალციხის მაზრის მცხოვრებლები მისაწრაფოდნენ მხოლოდ თავისი ეროვნული თავისებურობის მშვიდობიანად შენარჩუნებისაკენ.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა საუკუნოებრივი მეგობრული კავშირი მეზობელ მუსულმანებთან, წაიყვანა მოლიბული გზით, გზით შეიარაღებული შეტაკებებისა. ეს გზა ყოველ ხანში ჰქონდა მხოლოდ უფრო დიდ უფსკრულს ხალხთა შორის და მას არას დროს არ მიუყვანდა მეგობრობისა და მშვიდობიანთათა ცხოვრებისაკენ. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერავითარი დროებითი გამარჯვება საქართველოს იარაღისა ახალციხის მაზრაში, ვერავითარი ახალი სისხლის დვარი ვერ გაამაგრებს ქართველ ხელმძღვანელ წრეების უსამართლო და დაწლუპველ პოლიტიკას და ეს გამოიწვევს მხოლოდ უმაყოფილებას და ურუ ჩივილს ამიერ კავკასიის ყველა მუსულმანებში. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა ამტკიცებს, რომ ადერბეიჯანის ხალხი ვერ დარჩება გულგრილ მაყურებლად ნაძალადი დაპყრობის და ქართველ ჯარების სისხლიან მსვლელობისა სამხრეთ-დასავლეთ ამიერ კავკასიის მუსულმანთა ტერიტორიაზე.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ თუ ქართველი ხალხი თავისი ხელმძღვანელების სახით აფასებს ორ მეზობელ ხალხების საუკუნოებრივ მეგობრობას, ის ანგარიშს გაუწევს თავისი მეგობრების სულიერ განწყობილებას და არ გადასდგამს ისეთ სახიფათო ნაბიჯებს, რომლებიც აშავებენ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობათა იმ მომენტში, როცა ბათუმი და ზღვის სანაპიროები ჯერ კიდევ შეიდიან ჩვენთვის მოწინააღმდეგე ელემენტების ზონაში.

ჩვენ მოგუწოდებთ ქართველ ხელმძღვანელებს წარმომდგარი კონფლიქტის მშვიდობიანის გზით მოგვარებისაკენ და ამ მხრივ ადერბეიჯანის ხალხმა და მისმა მთავრობამ უნდა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ და მიიღონ ზომები სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შესაჩერებლად".

ჩვენი ფინანსთა მინისტრი ბაქოში.

8 მარტს სასტუმრო „მეტროპოლში" ადერბეიჯანის მთავრობამ ბაქოში ჩასულ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გ. ყურულის პატივსაცემად ბანკეტი გამართა. ბანკეტს დაესწრნენ მინისტრთა საბჭო მთელი შემადგენლობით, ხანხოისკის მეთაურობით, კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები ადერბეიჯანის მთავრობასთან, ეროვნულ უმცირესობათა პარლამენტის ფრაქციის წარმომადგენლები, ევროპის სახელმწიფოთა ელჩები, პარლამენტის ფრაქციების ლიდერები და პასუხისმგებელი ხელმძღვანელები, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე და ქალაქის მოურავი. სულ 150 კაცი. ბანკეტი გახსნა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ზიატხანოვმა. და აღნიშნა, რომ ეს არის პირველი პოლიტიკური ბანკეტი პირველი რესპუბლიკისა საბჭოსულმანო ქვეყანაში. ბანკეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ხანხოისკი. პირველი სადღეგრძელო წარმოსთქვა ხანხოისკიმ საქართველოს ხალხისა, რომელიც, ორატორის სიტყვებით, ისტორიული ბედით დაკავშირებულია თათრის ხალხთან. საპასუხო სიტყვა სთქვა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ყურულმა, რომელმაც აღნიშნა ის გულუხვი მიღება, რომლითაც შეხვდენ მას ადერბეიჯანში, რასაც ის საჭიროდ სთვლის აცნობოს თავის მთავრობას. შემდეგი წარმოსთქვეს სადღეგრძელოები სომხეთის, მთიელთა რესპუბლიკის, სპარსეთის, დემოკრატიული რუსეთის, პოლონეთის, უკრაინის და ევროპის ხალხების, რაზედაც უპასუხებდენ ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ბანკეტი ცოცხლად ჩატარდა და დასრულდა დამის 10 საათზე. („აღ.")

ამხ. პლატონ გუჯაბიძე

მებრძოლი პლატონი აღარა გვყავს!

ამ სიტყვების გაგონებაზე ბევრი გული დაიკოდება, ბევრი ცრემლი ადენრება და ყველაზე უფრო დაღონდებიან მისი ამხანაგები გვარდიელთა პირველი ბატარეიაში, რომელიც შედგა ამხ. ვ. შარაშიძის ხელმძღვანელობით და რომელიც მისი ხსოვნის აღსანიშნავად მის სახელწოდებას ატარებს.

რით უნდა ინუგეშონ თავი მისმა ამხანაგებმა, როცა გაიგებენ, რომ ვალიკოს დამკარგველებმა ეხლა კიდევ დაჰკარგეს არა ნაკლები ხელმძღვანელი და საიმედო მებრძოლი ამავე ბატარეიისა?

ამხ. პლატონ იყო სუფსის მცხოვრები, ლარიში ოჯახიდან. გურიას ის არც კი მოშორებია სანამ საბჭოთა სამსახურში გასვლა არ შეხვდა. საბჭოთა სამსახურში „უჩენნი კამანდის" გავლის შემდეგ ის კარგი მეზარბაზნე გახდა და გერმანიის ფრონტზე ვალიკო შარაშიძესთან ერთად მსახურ ბდა. ძველი რეჟიმის დაცემის შემდეგ ის დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ დიდ ხანს არ შეუსვენია. როცა საქართველოს ყოფილი მხრიდან ძალნა დაუწყეს, ის ბათუმში ბარცახანის სიმაგრეში მიიწვიეს და ფელთფეხედად მსახურებდა მეშვიდე როტაში, სიმაგრიდან გემ „კარლოს"-ზე გავიდა მატროსად, სა დანაც გემის გატაცების შემდეგ რუმინიაში ამოაყოფინეს თავი სხვებთან ერთად. მახსოვს, ვ. შარაშიძემ ტელეგრამაც გაუგზავნა მას და სთხოვა თფილისში ჩამოსვლა ნატანების ფრონტზე წასასვლელად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის საქართველოში არ იმყოფებოდა.

ამხ. პლატონ გვარდიის უფროსმა ხელმძღვანელმა ვ. ჯუღელმა გაიცნო ვ. შარაშიძის დაკრძალვის დღეს სად. სუფსაში, რომელიც იმ დღეს დაბრუნებულიყო რუმინიიდან და მაშინვე დაგვპირდა, რომ ჩაეწერებოდა პირველ ბატარეიაში, რაც-კი შეესრულა. შემდეგ ის ალბ. მიბრუნდა ხანაგებს პირში და ლაბინში და 19 დეკემბერს უკანასკნელად დაამტკიცა მებრძოლობა, როდესაც ეკატერინოფელდში სომხებთან შეტაკების დროს ჩვენი ბატარეიის მთლიანათ ხელში ჩაგდება მოინდომეს, სადაც გმირულად დაეცნენ ამხ. ს. მაისურაძე და სხვები, ის ორ საათ-ნახევარს გაუმკლავდა მოწინააღმდეგეს სწორეთ იმ დროამდე, სანამ ჩვენები მეორე მხრიდან მიუვლიდა მტერს და როცა ჩვენებმა ისინი განდევნეს, ამხანაგი პლატონი დაჭრილი აღმოჩნდა მარჯვენა ფეხში, ხელებში და თავში, მაგრამ თავს ბედნიერათ სთვლიდა, რადგან მტერზე გამარჯვებული ჩვენ დარჩით. მას შემდეგ ის თფილისის რკ. გზ. საავადმყოფოში იწვა და 9 მარტს უკანასკნელად გამოეთხოვა წუთისოფელს, და ახალციხის ალების გაგებით ნასიამოვნებმა დიმილით განუტევა სული.

საუკუნო იყოს ამხანაგო პლატონ ხსენება შენი! ქება და დიდება ისეთ დიდებს, რომლებიც ადზრდიან შვილებს შენებრ გმირებს!

გრ. დეკანოიძე.

———

პირველ სამთო ბატარეის გვარდიელები დრამად დამწუხრებულნი დავტირით ჩვენ ოჯახის საუკეთესო შვილის პლატონ გუჯაბიძის დაკარგვას. მისი სიკვდილი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს მებრძოლთათვის. ჩვენ ძლიერ ვწუხვართ, რომ საშუალებას მოკლებულნი ვართ დავესწროთ მის დასაფლავებას. პლატონის სახით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაჰკარგა საუკეთესო არტილერისტი სახალხო გვარდიისა. ერთად ერთი სანუგეშო ჩვენთვის, შავი ზღვის ნაპირებზე მყოფ გვარდიელების ის არის, რომ შეეძლებთ ჩვენი სისხლით დავიცვათ სახელი ჩვენი დემოკრატიისა, ისე, როგორც განსვენებულმა შესძლო ეს ეკატერინოფელდთან ბრძოლის დროს.

პირველი სამთო ბატარეის გვარდიელები.

———

12 მარტს გაზეთმა სამწუხარო ამბავი მაუწყა, ამხ. პლატონ გუჯაბიძის ადრდაცვალების შესახებ, ცხარე ცრემლებით დავსტირი ძვირფასი ამხანაგის ცხედარს. მისი ხსოვნა წაუშლელი დარჩება ჩემს ხსოვნაში.

№ 1 ჯავშნიან მატარებლის ხელმძღვანელი **შალვა მახარაძე.**

ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი

„სამეურნეო ცოდნის ვეტერანი, ქართველ მოღვაწეთა შორის ცნობილი, წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის დამაარსებელი, ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი მოკლებულია სასმელ-საჭმელს და სითბოს, გაჭირვებულია 80 წლის მოხუცი".

„Н. Д." № 201.

ეს ის წინამძღვრიშვილია, რომელსაც 1913 წელს 80 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეთ, მეუხარე და „გრძნობიერი" სიტყვები უთხარით, მისი სახელობის სტიპენდია დაეაარსეთ.

ილია წინამძღვარიშვილმა მთელი თავისი ენერგია და ქონება საზოგადო საქმეს ანაცვალა. ის იყო ჩვენში სამეურნეო ცოდნის პირველი პიონერი. 1883 წლიდან იდგეშის, რამოდენიმე თაობა აღზარდა, ბევრი დიდი ქონების პატრონია, ბევრი კიდევ თვალსაჩინო ადგილის, მისი აღზრდილი კი შიშვლით კვდება. უმადურობა ამას იქით სად წავა? ნუთუ სხვა თუ არ მიხედავს, ქართული სამეურნეო საზოგადოება მაინც არ უპატრონებს მის საპატიო წევრს?

აპ. წულაძე.

გაძოში

2 მარტს ბაქოს სამოქალაქო საბჭოს დარბაზში შესდგა საზოგადო კრება ქართველ სოციალდემოკრატების და თანამგრძნობთა. კრება იყო მოწვეული ბაქოს ქართველ ეროვნული საბჭოს სოციალდემოკრატიული ფრაქციის მიერ და წინანდელი კრების გაგრძელება იყო. დღიური წესრიგში იყო შეტანილი ორი მუხლი: 1) მოხსენება ახალციხე სოჭაზე და 2) ორგანიზაციული საკითხები, რომელიც წინანდელ კრებაზე ვერ გადასწყდა. ამხ. ძ—მა მოკლეთ მოაგონა კრებას თავის წინანდელი მოხსენების შინაარსი.

წაკითხულ იქნა ამხ. არსენიძის წერილი ბაქოელების მიმართ. კრებამ დადგინა: მოუწოდოს ყველა ქართველ სოციალდემოკრატებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის მოწყობაში და ხელი შეუწყონ მის მარქსისტულ გზაზე დაყენებას.

ახალციხეში და სოჭაში მომხდარ ამ-

ᲓᲦᲔᲡ

მოჰკლეს ავღანისტანის ემირი. კვლელობის მიზეზი გაურკვეველია. დაპატიმრეს ორი.

ამერიკის მუშა ქალთა წარმომადგენლები საზავო კონფერენციაზე ვილსონმა დანიშნა ორი ქალი, რომლებიც პარიზში ჩასვლამდე ლონდონში მიეგლენ მუშა ქალთა ორგანიზაციებთან სათათბიროთ.

ნიუ იორკში ხომხების ბერძნების და ებრაელების მრავალრიცხოვანმა კრებამ ვილსონს ხოხოვა, რათა მან საზავო კონფერენციაზე მხარი დაუჭიროს ხომხეთის და ებრაელთა სახელმწიფოების აღდგენას ოსმალეთის ფარგლებში.

პოლონეთის ხამხედრო შტაბის ცნობით პოლონელებმა ბალშევიკები დამარცხეს.

ბალშევიკების ცნობით ბერლინში სახტიკი ხამოქალაქო ომია. მოკავშირეთა ჯარები დღეიდან მიდიან. ბერლინი მოხალისეთა ჯარმა დაიკავა.

თავმჯდომარის წინადადება მიღებულია წყალთხულ იქნა ებრაელთა ნაციონალურ საბჭოსაგან, მუსულმანთა ეროვნულ საბჭოსაგან, გერმანელთა ნაც. საბჭოსაგან, სომხეთის მთავრობისაგან, სომხეთის საბჭოსაგან, ადერბეიჯანის პარლამენტისაგან, სამტრედიის საბალხო გვარდიისაგან, სახალხო გვარდიის საველე შტაბისაგან, სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისაგან და ოვანეს თუმანიანისაგან. დეპეშების კითხვას დეპუტატები ტაშის ცემით შეხვდენ. დამფ. კრების თავმჯდომარეს დაევალა საპასუხო დეპეშების გაგზავნა. შემდეგი სხდომა დაინიშნა 18 მარტისთვის.

ა.კ. ხ.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნოე ჟორდანია. საქართველოს რეს პუბლიკის მთავრობა მდაბლათ თავს გიკრავთ, გისურვებთ კეთილ მობრძანებას და თან გეთხოვებათ.

მთავრობამ მიიღწია ერთ თავის ძირითად მიზანს, მოიწვია საქართველოს ნამდვილი ბატონ პატრონი, შეჰყარა დამფუძნებელი კრება და აი ახლა მას შეუძლია თქვენს წინაშე განიმეოროს სიტყვანი მოხუცი მიმრწმენელი სიმეონისა.

მაგრამ სანამ დავტოვებდეთ ჩვენს პოსტს, სანამ გადავიქცეოდეთ ერთ თქვენთაგანთ და მანდ თქვენს შორის ჩაეჯდებოდეთ, მანამდის საჭიროთ მიგვაჩნია დამფუძნებელი კრება შევიყვანოთ სახელმწიფო საქმეთა მდგომარეობაში, გავაცნოთ რა იყო მთავრობა, საიდგან წოდიოდა და საითკენ მიდიოდა ის.

საქართველოს მთავრობა არსებობს დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებისა. ხოლო ეს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა საქართველოს გარეშე მდგომ ძალების ზე გავლენით, მისი საგარეო საქმეთა მსვლელობის პროცესში. ერთი მხრით რუსეთის ჩვენი ქვეყნიდან წასვლა, მეორე მხრით ოსმალეთის მოსვლა—აი ამ ორმა ისტორიულმა მოვლენამ დაბადა ჩვენი დამოუკიდებლობა, როგორც აუცილებელი საშუალება ამ ქარტეხილში თავის გადარჩენის და ისტორიული წარღვნისაგან თავის დაღწევის.

მთავრობის წინაშე იდგა ერთი მთავარი მიზანი, რომლის მიღწევისათვის მას უნდა შეეწირა მოელი თავისი ძალონი. მას ცხოვრებამ დაუყენა ერთი ამოცანა, ერთი დილემა და ეს დილემაა ის, თუ რა გზით შეეძლებოდა ამ პატარა ერის მისი პატარა საშუალებებით ბოსტრებისაგან გადარჩენას და მის კულტურულ და ეროვნულ არსებობის შერჩენას.

ჩვენ დიდი რუსეთის ფრთებს ქვეშ შეფარებული, თავის მოვლას და ბატონობას გადაჩვეული მოულოდნელათ დავრჩით ჩვენი თავის ამარა და აი ამ გარემოებამ უკარნახა მთავრობის მოქმედების გეზი, მოწოდების გეგმა.

საგარეო საქმეთა მსვლელობამ მისცა დასაბამი საქართველოს მთავრობას და შინაარსი მის მოღვაწეობას. და ჩვენ დღეს თამამათ შეგვეძლია განვაცხადოთ, რომ ეს ისტორიული დანიშნულება მთავრობამ გაამართლა, მსოფლიო ომი დასრულდა ისე რომ საქართველო უფნებლათ გამოვიდა მსოფლიო ციცხლის რკალიდან, ხოლო დიდი რევოლუცია სრულდება ისე, რომ საქართველომ თავი დაადგინა, როგორც ანარქიას, ისე რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვას.

მაგასადამე ჩვენ გვაქვს დღეს სამგვარი ნაყოფი:

საგარეო მეუდრეობა,

საშინაო მეუდრეობა,

რევოლუციის ყველა მონაპოვარი.

არც ერთი დამფუძნებელი კრება არ შეკრებილა ასრულ ასეთ ხელსაყრელ საზოგადოებრივ პირობებში, ყველა იძულებული იყო ეს სამივე ნაყოფი თვით მოეპოვებია, თვით ებრძოლა მათვის და ის განეხორციელებია.

ჩვენ დამფუძნებელი კრების ყოველივე ეს დახვდა მზა მხარეული და მას დარჩენია მხოლოდ ამ ნაყოფის განვითარებისათვის შესაფერი პოლიტიკური და იურიდიული კალაპოტის შექმნა და მუდმივი საგარეო მეუდროების დამკვიდრება. რანაირათ მოხდა ეს? როგორ მივაღწიეთ ამ მიზანს?

მთავრობა იყო იმ აზრის, რომ საგარეო სიმტკიცეს მოგვცემს მხოლოდ შინაური სიმტკიცე. გარედან მოსული მტერი მოუგარეთ გაუმაგრდებით იმდენათ, რამდენათ ჩვენ შინ შევძლებთ ერთი დიდი ფრონტის შექმნას და მასზე შეურყევლათ დაყრდნობას.

ამ ფრონტის შექმნა კი შეიძლება მხოლოდ რევოლუციის მონაპოვართა ნიადაგზე, ხალხის დარაზმვა დემოკრატიული დროშის გარშემო.

დროშა რევოლუციის და დემოკრატიის გახდა დროშათ ჩვენი შინაური ერთობის, ჩვენი ნაციონალური სიმტკიცის ტ საგარეო გაბედვრებიდან თავის გადარჩენის, აი ეს დროშა გახდა მთავრობის დროშათ ტ მას ვემსახურებით ჩვენ.

ჩვენ არ წამოგვიყენებია არც ერთი ისეთი ლოზუნგი, არ მიგვიღია არც ერთი ისეთი კანონი თუ განკარგულება, რომელიც მოგვაშორებდა ერის სასიცოცხლო ელემენტებს და მათ მაგიერ შეგვმატებდა უსიცოცხლო და დროშეშმული წრეებს. ის, რაც ისტორიამ და რევოლიუციამ უარყო, უარყოფილ ჩვენც ის, რაც ისტორიამ და რევოლიუციამ სასიცოცხლოთ მოიწვია—მას ჩავფრინდით ჩვენც და მათგან შეეკარით ერთი მტკიცე რევოლიუციური და სახელმწიფო ძალა.

პირველათ ჩვენში შეიქნა მთავრობა, რომლის გარეშემო შემოკრება ყველა დემოკრატიული და რევოლიუციური ორგანიზაცია, მთავრობა, რომელსაც უპროტესტოთ ემორჩილება მთელი დემოკრატია, მთელი ერი. ასეთი მთავრობა ჯერაც არ შექნილა რუსეთის არც ერთ კუთხეში, არც ერთ ერში, ეს იქ მომავლის საქმეა. და ახლა, როგორიც უნდა იყოს ეს მთავრობა, ვინც უნდა შეიტიოდეს შიგ—ეს ძალა მას ექნება, მხოლოდ ერთი პირობით კი—ის არ უნდა გადასცდეს დემოკრატიის, რევოლიუციის ნიადაგს. ამ პირობის გარეშე ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს, მის გარეშე იწყება ანარქიის და კონტრ-რევოლიუციის შავი უფსკრული, რაიცა თან ჩაიტანს დამოუკიდებლობასაც.

აი ასეთია ის საერთო პოლიტიკური კალაპოტი, რომელშიაც მიძრაობდა, მოქმედებდა და თავის მიზნისაკენ ვიდოდა მთავრობა და მასთან ერთად მისი წარმომშობი პარლამენტი.

ეს ორი ორგანო, ერთი კანონმდებლობით, მეორე მართველობით ხელიხელ გაყრილი მოდვაწეობდენ ტ ერთხელაც მათ შორის არ ჩამოვარდნილა კონფლიქტი. ამიტომ ჩვენ არ გვგვიცდია ეგრეთ წოდებული კაბინეტის კრიზისები.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საერთო პრინციპებს—ჩვენ ვატარებდით ცხოვრებაში არა მის ქადაგებით და სხვა იდეიური საშუალებით, არამედ კონკრეტული ზომებით, სხვადასხვა რეფორმებით. ამ ზომებთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს თავდაცვის ზომებს—ე. ი. შეიარაღებულ ძალებს და დიპლომატიას.

პირველი განყოფება ორათ—გვარდია და შუდმივი ჯარი. ახალია გვარდია, ძველია შუდმივი ჯარი, და აი ამ მათი თვისებებიდან წარმოსდგა მათი დირსება-ნაკლულევანება. გვარდია შექმნა რევოლიუციურ ტალღებში საუკეთესო მოწინავე ელემენტებისაგან და ეს ინსტიტუტი ჩვენ დავაკანონეთ. ბევრი იყო მისი მოწინააღმდეგე, მარა მისმა საქმეებმა ახლა თვით ურწმუნონიც კი დააწმუნა მის აუცილებლობასა და დიად სახელმწიფო სარგებლობაში.

გაცილებით მეტი ყურადღება იყო მიქცეული შუდმივი ჯარისაკენ, მარა აქ ჩვენმა ცდამ ვერ გამოიღო საჭირო ნაყოფი. ამის მთავარი მიზეზია, რასაკვირველია, ოთხი წლის ომი, ყაზარმა ხალხს შესძულდა და ვიქვამ, არა თუ ჩვენში, არამედ ევროპაშიაც შესაძლებელი გახდეს საკმაო შუდმივი ჯარის ყოლა და მისი დიდხანს დამაგრება. ჩვენ ამ მხრით გვმართებს რეფორმის მოხდენა, დროსათვის ანგარიშის გაწევა, მარა ერთი კი მაინც ფაქტია—ჩვენი შეიარაღებული ძალის საშუალებით ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი საშინაო და საგარეო მეუდროება. ჯარი და გვარდია გაჭირების დროს თავის სიმაღლეზე იდგენ და მტერთ ებრძოდენ.

რასაკვირველია, ამას მარტო ხმლით ვერ შევძლებდით, რომ აქ დიპლომატიაც არ მრგვეველებოდა, და თუ პატარა რესპუბლიკების ძალებს ჩვენი ძალითვე გავუწორდებოდით, დიდ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებას დაჭერა მხოლოდ დიპლომატიური გზით შეგვეძლო და ჩვენც სავსებით ვისარგებლეთ ამით. მოკავშირეებთან მეგობრული განწყობილება გვაქვს, დელეგაცია საზავო კონგრესზე გავგზავნეთ და ჩვენ ეშვიც არ შეგვდის იმაში, რომ ჩვენ ხალხთა ლიგაში შევალთ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის.

მეზობელ რესპუბლიკებთან მეგობრული დამოკიდებულებაა, სომხეთთან დიპლომატიური კავშირი აღდგენილია, გადადგმულია ნაბიჯი მათთან უფრო მჭიდროთ დაკავშირებისა.

ყველა ეს მოითხოვდა **ხარჯებს**, ერთობ დიდ ხარჯებს და თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო ხაზინას დღიდან ბალშევიკების გადატრიალებისა, 1917 წ. ოქტომბრიდან, ცალი კაპეიკი არ მიუღია რუსეთიდან—ადვილათ წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსიურ გაჭირვებას. ხოლო, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ—ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავათ ამისა დღემდე სული მაინც მივიტანეთ ისე, რომ არავითარი საგარეო ვალი არ გვქვია. მართალია შემოსავლის წყარო ფინანსიური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მარა ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვქონდა. ამას მოყვა ფულის კურსის დაცემა, ე. ი. გამოცემული ბონები ჩვენი დეფიციტია, საშინაო სესხია, მარა საგარეო სესხი ყველა ამ ვნებას მოგვიტანდა და იმავე დროს უცხო ძალის მოვალე გავხდებოდით. ამავე დროს მთავრობა ლიბულობს ყოველ დონეს მოიწყო გადასახადების ახალი სისტემა, ამკრეფი აპარატი, ახალი დამოკრები, და სხ. და სხ. ყველა ამ ზომამ საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წელ თვის მოგვცა 69,044,000 მ., თუ მას რკინის გზის შემოსავალ 27,114,000 მ. მიუმატებთ, გამოვა, რომ ხაზინის შემოსავალი პირველ იანვრამდის ყოფილა სულ 96 158,000 მ., ხოლო გასავალი კი იყო 342 244,000 მ. დეფიციტია 246,086,000 მ.

იმავე ხნის განმავლობაში ჩვენი საგარეო ვაჭრობა უდრიდა: შემოვიტანეთ უცხოეთიდან 140,929.260 მან., ხოლო გავიტანეთ 87,494,105 მან. მაშასადამე ჯამი ჩვენი საგარეო ადებ-მიცემობისა გასული წლის უკანასკნელ ექვს თვეს უდრიდა 228.843,336 მან. შემოზიდვა აღემატება გაზიდვას 53,435,095 მან., რაიცა აიხსნება იმით, რომ ჩვენ ვსაჭიროებთ უფრო პურს და შაქარს. მთავარი ვაჭრობა გვქონებია უკრაინასთან—უდრის 110 მილიონს, შემდეგ შედის რუსეთი 50 მილიონი, ოსმალეთი 32 მილ., ადერბეიჯანი 6 მილ., სომხეთი მილიონი, დანარჩენები 56 მილ.

მრეწველობის მხრივ თითქმის არაფერი ახალი არ გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში, თუ სახეში არ მივიღებთ ტყეებულის ქვა-ნახშირის დამუშავებას რკინის გზის საჭიროებისათვის.

როგორც ხედავთ, ვაჭრობა, მრეწველობა და გადასახადთა სისტემა ჯერ კიდევ არ დგას იმ დონეზე, რომ სახელმწიფოს დეფიციტი ამ საშუალებიდან დაგვეფარა. მართალია, გვაქვს ერთი დიდი დარგი, რომელზედაც ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ, მარა ჯერ-ჯერობით კი ეს საქმეც ვერ იძლევა საჭირო შემოსავალს. მე მოგახსენებთ სახელმწიფო ქონებაზე. აგრარული რეფორმის წყალობით სახელმწიფოს ხელშია დღეს დაგროვილი ორმილიონ დესეტინამდე ტყე, ნახევარ მილიონამდე სახნავი მიწები, რვაას ათასამდე საძოვარი, კურორტები თავის სასახლეებით, მადნეული წყლები, მადნები და სხვ. მაგრამ ყველა ეს, როგორც ახლად მიღებული, საჭიროებს შესაფერათ მოწყობას, დაყენებას, შესაფერ სამეურნეო და საექსპლოატაციო აპარატების შექმნას, რაიც დიდ ხარჯებს ითხოვს. უწყების ყარაულით წელს ეს ქონება მოგვიცემს 90 მილიონ მანეთს, ხოლო დაახარჯება 71 მილიონამდის. აქ, რასაკვირველია, ჩათვლილი არ არის სახნავი მიწების გადაცემა გლეხებზე კერძო საკუთრებათ თანახმათ პარლამენტის დადგენილებისა, საიდანაც მოველით არა ნაკლებ ორასი მილიონი მანეთისა, რაც, რასაკვირველია, ჩვენს ფინანსებს გაუმჯობესებს დროებით. მარა ვერ მოსპობს დეფიციტს.

როგორც ხედავთ, მთავარი ძალები ჩვენი სახელმწიფო მოთხოვნილებისა, გარდა თავის დაცვისა გარეშე და შინაურ მტერთაგან, არის ფინანსიური მდგომარეობა, რის გამოკეთება საბოლოოთ დაგვაყენებს მტკიცე, შეურყეველ საფუძველზე. ჩვეულებრივათ, სახელმწიფო გასავალი იფარება უმთავრესათ გადასახადებით; სახელმწიფოს აშენების პროცესში გადასახადის აკრეფა ძნელდება, ვინაიდან ადმინისტრატიული აპარატები დარღვეულია, ქონებრივი მდგომარეობა ირეული და გამოურკვეველია, არა თუ აკრეფა, გასაგერია იმის თქმა, თუ ვის უნდა დაადვა გადასახადი, ვის ხელშია დაგროვილი გადასახადის სგანი—ქონება. დღეს, ამ სპეკულიაციის ხანაში, ძნელია ქონების კადასტრის შედგენა, ვინაიდან დღევანდელი დარბი, ხვალ უცებ მდიდარი ხდება, ხოლო დღევანდელი მდიდარი, ხვალ ღარიბდება.

ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას ამძიმებს რკინის გზა, რომელიც იძლევა დიდ დეფიციტს. ეს აიხსნება თვით ამ გზის მუშაობის წეს-რიგით. ეს გზები იძულებული იყვენ თავისივე საშუალებით გადაეყვანა ჯერ რუსეთის ეშელონები, მერე გერმანელი და ოსმალთა ჯარები, შემდეგ კიდევ ოსმალები და ბოლოს ინგლისელები. ასე თავს დაატყდა მეტად დიდი ტვირთი და ყოველივე ეს უნდა ეზიდა არსებული ტეხნიკური საშუალებით. ამით, რასაკვირველია, ეს საშუალებანი გაცვდა, გადნა, გამოცვლა არ შეიძლება და მხოლოდ მის შეკეთებით ვცხოვრობთ. გარდა ამისა, სათბი მასალის თავის დროზე უქონლობისა, ეკონომია მრეწველობის სისუსტე, საქონლის გადაზიდვა გადმოზიდვის ნაკლებობა, საუკეთესო მუშების და მოსამსახურეთა ხშირათ გვარდიაში ფრონტზე გამგზავრება და მუშაობას ჩამოცილება—აი ყველა ეს ქმნის რკინის გზათა დეფიციტს, მისი შემოსავლის ნაკლებობას.

როგორც ხედავთ, ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა მჭიდროთ შეკავშირებულია მსოფლიო ომის შედეგებთან და როგორც კი საერთო ზავი დამყარდება, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება—ფინანსებიც, რასაკვირველია, სხვა სახეს მიიღებენ და ჩვენ ფდეფიციტოთ შეგვეძლება ვიცხოვროთ, თუ კი, რასაკვირველია, შესაფერი საშინაო პოლიტიკური ურთიერთობა შევქმენით.

ამ მხრით მთავრობა და პარლამენტი გამუდმებულ მუშაობდა. ერობათა შემოღება, ადმინისტრაციის მოწყობა, მოსრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შექმნა, სამართლის და სწავლის გაეროვნებით ხალხთან დაახლოვება და სხვ. და სხვ.

მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება მთავრობის მოქმედებას შრომის სფეროში. მიუხედავათ დიდი სიძვირისა და გაჭირვებისა, ჩვენ თავიდან ავიცილეთ გაფიცვები. ერთათ-ერთი დიდი გაფიცვა მოხდა ტყიბულის მაღაროებში, მარა აქ ისეთი ახირებული და შეუძლებელი მოთხოვნილებანი იქნა წამოყენებული, რომ ის მთავრობასთან ერთათ დაგმო მთელმა შეკავშირებულმა მუშათა კლასმა და ასე მოვახდინეთ მისი ლიკვიდაცია უმტკივნეულათ. ეს აიხსნება იმით, რომ მუშათა კლასი სრული ნდობით ეპყრობა მთავრობას და ის დარწმუნებულია შრომის ინტერესს დაიცავთ საწარმოოო ძალთა განვითარების ფარგლებში. ჩვენმა შრომის სამინისტრომ არა ერთი და ორი გამზადებული გაფიცვა თავის ჩარევით ჩაიქრო, რაიცა ამტკიცებს იმასაც, რომ პატრონებიც საკმაოთ ნდობით ეპყრობიან უწყებას. მაგრამ, მიუხედავათ ყველა ამისა, მუშის ხელფასის კითხვა დგას მთელი თავისი სიმწვავით. ქირის მომატება არ სჭრის ამ კითხვას, ვინაიდან ცხოვრების გაძვირება კიდევ უფრო მატულობს და ასე მუშა მაინც გაჭირვებაში ვარდება. ამ კითხვის მოწესრიგება შეუძლებელია, მანამდის ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა არ გამოკეთებულა და სახალხო მეურნეობა ნორმალურ კალაპოტში არ ჩასდგება. ერთი მთავარი ელემენტი ამ გამოკეთებისა არის შრომის ნაყოფის გამრავლება, შრომის განთავისუფლება. რაც მეტი ღირებულება იქნება შექმნილი, მით უფრო მეტი სიმდიდრე გროვდება, მით უფრო მეტ ღირებულებას მოვიზიდავთ გარედამდან და ასე ავსწევთ ჩვენს ვალიუტას და ფულის კურსს. შრომის ნაყოფიერების დაცემა ერთი მიზეზია დღევანდელ ეკონომიურათ დასუსტების და მაშასადამე შრომის პირობების გაუარესებისაც. საწარმოო ძალთა განვითარებაში დღეს ერთანირათ დაინტერესებულია სახელმწიფო, მუშა, გლეხი და მრეწველი.

აი ასეთია საერთოთ ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა; მე არ მოგახსენებთ იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს დღეიდან, ეს თქვენი და თქვენ მიერ შექმნილი მთავრობის საქმეა; მე გაგაცანით მხოლოდ არსებული მდგომარეობა, და ვამბობთ, რომ რაც შეგვეძლო—ვიმუშავეთ, რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდათ მოვიყვანეთ თქვენამდის, ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონებამდის, აი ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადაფე და გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, რაც დავაკელით ან რაც გამოგვრჩა. ჯერ კიდევ შორსა ვართ იმისაგან, რაც უნდა იყოს, ჯერ არ განსორციელებულა ჩვენი პოლიტიკური გეგმა; დამფუძნებელი კრება სწორეთ ამ გეგმის განსახორციელებლათაა მოწოდებული და ის არ დაიშლება მის განსახორციელებამდის.

პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელ კრების მთავრობას.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 მარტი

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მარტის 14. **ბერლინი.** მარტის 13. სპარტაკელების უკანასკნელ გამოსვლამდე ბერლინში რამოდენიმე დღის განმავლობაში ისეთი ბრძოლები იყო, რომელსაც თავის სიძლიერით ვერ შეედრება ვერც ერთი სამოქალაქო ომი. გაფიცვა გამოაცხადეს მუშებმა კონტრგაფიცვა ბურჟუაზიამ. რკინის გზებზე მიმოსვლის შეწყვეტის გამო ქალაქში შიმშილი მოელის. დიდი გაფიცვებია რურის რაიონში. გაზ. „ფორტუ“ მოწინავე წერილში სწერს, რომ მთავრობას ავტორიტეტი და ძალა-უფლება არა აქვს. ის აბრუნებს მხოლოდ დამფუძნებელი კრების უმრავლესობის სურვილებს. ვილნო. მარტის 13. დამოუკიდებელ სოც.-დემ. ყრილობის გახსნაზე ბერლინში პუდიელმა სთქვა, რომ მთელი გერმანია რევოლიუციის ქარცეცხლმა მოიცვა. დამფუძნებელ კრებას იმედი აქვს, რომ ნოსკე ჩაჰაქრობს რევოლიუციას. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ლიუქსემბურგის, ლიბკნეხტის და ეისნერის ხსოვნას. ჰაზემ აღნიშნა, რომ შეიდემანელთა ბელადების და მასსას შორის უფსკრული თანდათან ღრმავდება და საგრძნობათ იზრდება დამოუკიდებელთა პარტია, რომელიც დაიცავს საბჭოთა სისტემას. კლარა ცეტკინამ სთქვა, რომ ებერტის („ებერტ პირველის“) მთავრობამ უფრო მეტი სისხლი დადვარა, ვიდრე ვილჰელმ მეორის მთავრობამ. ეენეკა, მარტის 7. საფრანგეთის მთავრობამ ინსტრუქციები დუგზავნა გერმანიაში დაჭერილ ადგილებში მდგარ ჯარის კომენდანტებს გაიყვანონ საფრანგეთის ჯარი იმ ადგილებიდან, სადაც ძლიერია მუშათა მოძრაობა. ყოველგვარი დამოკიდებულება საფრანგეთის სარდლობისა სპარტაკელებთან აკრძალულია. ასეთივე ინსტრუქციები დაეგზავნა ინგლისის სარდლობას. მოსკოვი. მარტის 14. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიიღო რომიდან კარდინალ გასპარ ილსენის პაპა ბენედიქტ მე-15-ის დეპეშა, სადაც უკანასკნელი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკა სდევნის სამღვდელოებას, განსაკუთრებით მართლმადიდებელთ. საგარეო საქმეთა კომისარმა კარდინალ გასპარს გაუგზავნა საპასუხო რადიო, სადაც აუწყებს, რომ ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოდან ნიშნავს მას, რომ რელიგიას უყურებენ, როგორც კერძო რამეს. არავინ არ დასჯილა თავის რწმენისათვის, რაც შეეხება ეკლესიის იმ წევრთ, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის, მუშების და გლეხების წინააღმდეგ შეთქმულობისთვის დაისაჯენ, საბჭოთა მთავრობამ უნდა აღნიშნოს, რომ სამღვდელოება უნდა დაემორჩილოს არსებულ კანონებს და მათ არავითარი უპირატესობა სხვებთან არ მიეცემათ. ჩიჩერინი შემდეგ იუწყება, რომ ეკლესიის მსახურთ უნახავს დიდი სიმდიდრე, განსაკუთრებით მონასტრების, რომ ამ საერთო გაჭირვების დროს, რომელიც გამოიწვია მოკავშირეების ზომებმა და რომლის წინააღმდეგ პაპა პროტესტს არ აცხადებს, ეკლესიის მსახურებმა გადამალეს დიდძალი სურსათი, რომელიც მოაკლდა ხალხს. პაპა მოითხოვს შეცვალოთ ჩვენი მათდამი განწყობილება იმ მომენტში, როცა მუშათა და გლეხთა მთავრობამ გამოააშკარავა სამღვდელოების ცუდდაუტრობა. ისინი ატყუებდნენ ხალხს. როცა გაიხსნა ის კუბოები, სადაც წმინდანების—ტიხონ-დადონელის და ვორონეჟელ მიტროფანის ვითომდა ულხრწნელი გვამები უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა, რომ კუბოებში ჩაეყარათ ძვლები, ქაღალდები, ბამბა, ბალიშები და ქალის ჩულქებიც. **ხარკოვი.** მარტის 12. ხერსონი ატამან გრიგორიევის ჯარმა დაიპყრა. მოწინააღმდეგე დაბარაჟდა. იმ სახლებს, სადაც ფრანგის და ბერძნების ჯარი გამაგრდა, ჩვენმა ჯარმა სროლა აუტეხა, ცეცხლი გაუჩინა და გადასწვა. **პეტერბურგი.** მარტის 13. რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავის აღსანიშნავათ მრავალი მიტინგები გაიმართა. სახალხო განათლების კომისარიატმა ეროვნულ საკუთრებათ გამოაცხადა კომპოზიტორ რიმსკი კორსაკოვის არქივი. საბჭოს აღმასრულ. კომიტეთმაზე „რუსეთის დიდი რევოლიუცია“ მხატვართა შორის კონკურსი დანიშნა. კონკურსი დაინიშნა ავრეთვე მოღვაწეთა საუკეთესო სურათებზე. საუკეთესო ნაწარმოებზე ხუთი სიჩუქარია დანიშნული, თითეულზე 15000 მანეთი. **ეკატერინოდარი.** მარტი 5. ყუბანში ფულის კრიზისია. ფულის ნაკლებობა დონისაც ეზნევა. დონის მთავრობა საკუთარ ფულის ნიშნებს უშვებს. ყუბანის მთავრობა კი იძულებულია ლაესესხოს დონის მთავრობას. ოდესა. მარტის 8. სადგურის ახლო მუშებსა და მოხალისეებს შორის შეტაკება მოხდა. მკვდარია 15 მუშა. დახოცილი მუშები დასაფლავეს მარსელიოზის სიმღერით და წითელი დროშით. მოხალისეები შეეცადნენ მათ დაშლას, მაგრამ უნაყოფოთ. **ტერეკი.** მარტი 8. ვინიცა ბელადების ბრძოლა ორიენტირებულია. მოელენ ადგილობრივ ბოლშევიკების გამოსვლა. შეებმა პეტლიურას ჯარს ორიოქმავალების დათმობაზე სახალხო კონგრესის გადასატანათ უარი განუცხადეს. **კიევი.** მარტი 13. 500 ვაგონი დატვირთული სამხედრო მასალით და სურსათით, რომელიც კარატინში იგზავნებოდა, ბარანიჩეგში დააკავეს. **კიევი.** მარტის 13. თეთრ გვარდიელების ბრძოლა დამარცხებულია. გაანთავისუფლეს ეტომირ-ვინიცას ხაზი. ადესიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა ჯარის მოახლოვების გამო ბურჟუაზია პანიკამ მიიცვა. დირექტორიასა და მოკავშირეთა შორის მოლაპარაკება საბოლოოთ შესწყდა. გაზეთები იუწყებიან ადესიდან საფრანგეთის ჯარის წასვლის შესახებ. ყოველ დღე გადის სამხედრო გემი ფრანგ ჯარისკაცებით დატვირთული. სიძვირის და სურსათის უქონლობის გამო ადესის მცხოვრებთა მდგომარეობა აუტანელია.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

კიევიდან იუწყებიან, რომ ავღანისტანის ემირზე თავდასხმა მოახდინეს და მოჰკლეს. მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველია. დაპატიმრეს ორი.

ბრიუსელში სოლვეის ინსტიტუტმა საზავო კონფერენციას მემორანდუმი გაუგზავნა, სადაც წინადადებას იძლევიან საერთაშორისო დამხმარე ენად აღიარონ ფრანგული ენა.

საფრანგეთის განადგურებულ ადგილებში რკინის გზას მაღე აღადგენენ. ფიქრობენ, რომ მოკლე ხანში პარიზსა და ბრიუსელ შუა აღდგენილ იქნება მიმოსვლა.

საუბრის დროს ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ გერმანიის ბლოკადა მხოლოდ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ მოიხსნება, რომელსაც გერმანიას საშუალება არ ექნება განაახლოს ომი.

ნიუ იორკში თეატრ „სენტიურში“ სომხების, ბერძნების და ებრაელების მრავალრიცხოვანმა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც პრეზიდენტ ვილსონს გაეგზავნა საზავო კონფერენციაზე განსახილველათ. რეზოლიუციებმა ოსმალეთის სამეფოში ამ ერების თვის უფლებების მინიჭების, ითხოვენ სომხეთის რესპუბლიკის და პალესტინაში ებრაელთა თემის დაარსების დიდ ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ.

რამდენათაც ვიცით, სამხ პირობები, რომელსაც მარშალი ფოში წარუდგენს მოწინააღმდეგეს, მოითხოვს, რომ გერმანიამ იყოლიოს იმდენი ჯარი, რამდენიც მას დასჭირდება საპოლიციო მიზნებისთვის და გერმანიას გარანტია ჩამოერთმევა, რომ მომავალში იგი ადარ შეიარაღდება.

ინგლისის წარმომადგენლები სავსებით შეთანხმდენ საბჭოთ ხელავიანებთან დუნაიზე ნავოსნობის შესახებ.

იაპონიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ მარკიზმა საიონმ გაზეთ „პტი პარიზიენ“-ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ იაპონიას განზრახვა აქვს ცინ-ტაოო ჩინეთს დაუბრუნოს და სამაგიეროთ მიიღოს რამოდენიმე კონცესია ამ ქალაქში.

მცირე აზიის და დარდანელის ბლოკადის მოხსნამ სრული კმაყოფილება გამოიწვია სტამბოლში. ამ ეამად ზომებს ღებულობენ შეთანხმების სახელმწიფოებთან საგანგებო ურთიერთობის აღსანგენათ.

გუშინ წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ ჯორჯმა მცირე ერების გასაფრთხილებლად სთქვა: მცირე ერებისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოუდგენს დიდ სახელმწიფოთა ჩადენა. ეჩვენება, რომ მცირე ერები ცდილობენ შემოიერთონ ისეთი ტერიტორია, რომელიც მათ არ ეკუთვნით. ეს ყველაზე დამლუპველი შეცდომაა.

პოლონეთის მთავარ ბანაკის შტაბმა ვარშავაში გამოაქვეყნა ცნობა ბალშევიკებზე დიდი გამარჯვების შესახებ. პოლონელებს დაუჭერიათ რკინის გზის სადგურები ბიტენი და კოსოვო, სადაც დიდ ძალი ამუნიცია იყოფის ხელთ. ბალშევიკები საბოლოოდ დამარცხეს ნემანის ხიდის ახლო. ბიკუშოვთან კი პოლონელთა და უკრაინელთა მცირე რაზმი მოუსოდნელად თავს დაეცა ბალშევიკების ბანაკს და რამდენიმე ტყვეის მფარველი იყო ხელთ.

მის რიგში შნედერი და (გაუგებარია) მის მრი ანდერსონი ვილსონმა ამერიკის მუშა ქალთა წარმომადგენლად დანიშნა საზავო კონფერენციაზე. პარიზში ჩასვლამდე ისინი ინგლისში მივლენ მუშა ქალთა ორგანიზაციასთან სათათბიროთ.

ფრანკფურტის გაზეთი აცხადებს, რომ გერმანიას სურს იარაღის ყარა იმდენათ, რამდენათ ეს შესაძლებელია. თუ მოკავშირეებმა მოინდომეს მარტო გერმანიას ყარონ იარაღი, მაშინ ისინი იძულებული იქნებიან დიდი ხნით იკისრონ გერმანიის იარაღით მართველობა და ეს კი არ იქნება ადვილი საქმე შინაურ